# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 3 თებერვალი 2004 №22 (2041) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხიზანიშვილი არ უარყოფს




## ზურას ინგლისის გუნდი ურჩევნია

ზურაბ ხიზანიშვილს თავი გაუტეხეს, მაგრამ რეინჯერსელ ქართველს ბრძოლა არ მიუტოვებია...

სახელგაუტეხელ ქართველზე კვლავაც ფიქრობენ სახელდაგდებულნი — „მანჩესტერი“, „იუვენტუსი“, „ბაიერნი“ და ხიზანიშვილი ამას არ უარყოფს...

და სად სურს ზურას კარიერის გაგრძელება? ხიზანიშვილს ყველაფერს ინგლისის სახელიანი გუნდი ურჩევნია...

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან იხილეთ მეორე გვერდზე



## კიევის დინამომ თბილისის დინამო იყიდა

ამისულაშვილი ბურდული კონჩა ზასპაზე სანდრო იაშვილიც მოიკითხეს




## რაზე გიჟდება ამერიკა

ეს სიგიჟეა და სიყვარული, ღრიანცელია და სამარის სიჩუმე, დევების რკენა და გოგონების ცვენა, პრეზიდენტები, ასტრონავტები, აროხროხებული ბიჭები და თვალებდაჭყეტილი ბავშვები, მთელი წელიწადი ამის მომლოდინე და მერე ორიოდ საათი ერთ ყავისფერ ნესვა ბურთზე და მასზე ჩამოკიდებულ გოლიათებზე მზერამიჯაჭვული 300-მილიონიანი ქვეყანა.

ესაა სუპერბოული, ჭეშმარიტად ამერიკული ბურთაობის დიდი და გადარეული ფინალი.

ამ თამაშით მხოლოდ ამერიკა სუნთქავს, ამაზე გიჟდება ამერიკა.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

*შოტლანდიური პრემიერლიგის ბოლო ტურში არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსმა“ სტუმრად გაჭირვებით მოუგო „პარტიკს“ 1:0. შოთა არველაძე ტრავმირებული გახლდათ და არ უთამაშია, ხოლო ზურაბ ხიზანიშვილი 66-ე წუთზე შეცვალეს, ექიმები მას შუა თამაშში ნემსითა და ძაფით მისდევნენ*




# ზურაბ ხიზანიშვილი: მენტალურად ვირჩევ ინგლისს

## ხუთი ნაკერი და ასაკოვანი ტყუპისცალი

— პირველ ტაიმში მეტოქეს შევეჯახე და თავი ისე გამიტყდა, რომ სისხლი წამსკდა. სისხლდენას ვერაფრით ვიჩერებდი და მსაჯმა მოედნიდან გასვლა მომთხოვა. ჰოდა, „რეინჯერსის“ ექიმებმაც მოედნის სიახლოვეს ხუთი ნაკერი დამადეს და ამის მერე დავუბრუნდი თამაშს.

— ალექს მაკლიშმა მეორე ტაიმში რატომ შეგცვალა?

— ყვითელი ბარათი მივიღე და, ისეთი თამაში იყო, მაკლიშმა, ეტყობა, არ გარისკა — ალბათ იმიტომ, რომ გუნდი კაცნაკლული არ დარჩენილიყო.

— მომდევნო შეხვედრას გამოტოვებ?

— არა, ხუთშაბათს ლიგის თასის ნახევარფინალი გველის „ჰიბერნიანთან“ და ვითამაშებ.

— „რეინჯერსში“ დებიუტი ჰქონდა ფრანკ დე ბურს...

— მან და ჰენინგ ბერგმა დაცვის ცენტრში ითამაშეს, მე მარჯვნივ. ფრანკი ასაკოვანი კია, მაგრამ დიდი გამოცდილება აქვს და მყისვე ემჩნევა, რომ ოსტატია.

— „მანჩესტერი“, „იუვენტუსი“, „ბაიერნი“ — ფაქტია, რომ ამ გუნდებში შენს შესაძლო ტრანსფერზე გლაზგოში ერთი მითქმა-მოთქმაა — რაიმე ახალს ხომ ვერ გვეტყოდი?

— ჯერჯერობით ახალს მართლაც ვერაფერს გეტყვი. სანამ ვინმე კონკრეტულად არ მეტყვის რამეს, ამ თემაზე საუბრისგან თავს შევიკავებ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ძველებურადაა.

— შენი ასარჩევი რომ იყოს, ამ გუნდებიდან რომელს მიანიჭებდი უპირატესობას?

— ინგლისის კარგ გუნდში დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი. რა თქმა უნდა, სერია A და ბუნდესლიგაც ძალიან კარგია, მაგრამ მესამე წელია, ბრიტანეთში ვარ და აქაურ მენტალიტეტში კარგად გავერკვიე.

— ზოგს მიაჩნია, რომ „დანდიდან“ „რეინჯერსში“ კი არა, უფრო დიდ გუნდში უნდა გადასულიყავი...

— ვინც ასე ფიქრობს, მათთვის მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გაკეთდეს. დიდ გუნდში მოვხვდე და სკამზე ვიჯდე, ეს ნამდვილად არ მსურს, ამან შესაძლოა, კარიერა ამირ-დამირიოს. „რეინჯერსმა“ კი ბევრი რამ შემძინა — სახელიან გუნდში ვარ, სკამზე ჯდომა არ მიწევს, ძალიან კარგი ფეხბურთელების გვერდით ვთამაშობ და ჩემპიონთა ლიგაზეც მოვსინჯე ძალა — მეტოქეთაგან ძალიან მომეწონა „შტუტგარტი“, ამ გუნდს ლიგაზე ბევრის გაკეთება შეუძლია.

**დავით თავართქილაძე**

| იტალია | გერმანია |
| --- | --- |
| სერია B. XXV ტური | II ბუნდესლიგა. XVIII ტური |
| პიაჩენცა 2:2 პალერმო | ობერჰაუზენი 3:2 არმინია |

| პორტუგალია | საფრანგეთი |
| --- | --- |
| სუპერლიგა. XX ტური | II დივიზიონი. XXII ტური |
| ალვერკა 1:2 ბეირა მარი | ნანსი 1:1 ლორიანი |

# იაშვილმა მაღლები დააბზრიალა

## ბოლო ნავსი ბაიერნია

*წარმატებულად დაიწყო ბუნდესლიგის მეორე წრე ქართველებისათვის — ლევან კობიაშვილის „შალკემ“ ვესტფალიურ დერბიში „დორტმუნდი“ სტუმრად წააქცია, ხოლო იაშვილ-ცქიტიშვილს „ფრაიბურგმა“ შინ „ლევერკუზენი“ ჩააპირქვავა. ლევან ცქიტიშვილს მუხლი ბოლომდე არ მოუშუშებია და სამატჩო განაცხადშიც არ ყოფილა, ხოლო ალექსანდრე იაშვილი მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახლდათ და სწორედ მის გადაცემას მოჰყვა ლიბანელი როდა ანტარის ერთადერთი და გამარჯვების მომტანი გოლი*


REUTERS

— შეიძლება ითქვას, რომ პირველი ოცი წუთი „ლევერკუზენმა“ გვაჯობა, მაგრამ მერე მეტოქეზე უკეთ ავთამაშდით და დამსახურებულად მოვიგეთ. კარგი თამაში გაჩაღდა. ჩვენ ახალი ტაქტიკით ვითამაშეთ და ამან გაამართლა.

— და რა იყო „ფრაიბურგის“ ტაქტიკური სიახლე?

— სამი ფორვარდით ვითამაშეთ — მარცხნივ სანუ, მარჯვნივ ტანკო, ცენტრში კი მე.

— ფოლკერ ფინკე ბოლო დროს უკან დახეულ შემტევად გათამაშებდა, ახლა კი გამოკვეთილ ცენტრფორვარდად გაგამწესა?

— პირველი ბურთი შეტევისას ჩემთან მოდიოდა და მე პასებს ფლანგებზე ვანაწილებდი. ერთი სიტყვით, შუაში ბურთი მე უნდა ამეღო და კვლავაც სიღრმიდან მიწევდა შეტევა, მაგრამ არა ძალიან უკნიდან.

— „ლევერკუზენს“ დაცვის ცენტრში ერთობ სახელიანი და ძლიერი მცველები ჰყავს — ლუსიო და იენს ნოვოტნი...

— ორივე ძალიან ძლიერი მცველია, მაგრამ მაღლები არიან და ერთი-ერთზე, დაბალ ბურთზე ბრძოლა ცოტათი უჭირთ. თუმც საქმე ისაა, რომ მთლიანად „ფრაიბურგი“ კარგად უტევდა. შეხვედრის მიწურულს „ლევერკუზენმა“ ლამის მთელი გუნდით შემოგვიტია და კიდევ უნდა გაგვეტანა გოლი, მაგრამ ასეთი შანსი ვერ გამოვიყენეთ.

— საგოლე პასი როგორ მიაწოდე ანტარს?

— ფლანგიდან ჩავაწოდე და ზედ საჯარიმოს ხაზიდან ანტარმა ერთი შეხებით ბურთი „ლევერკუზენის“ კარში მოათავსა — დარტყმა ძალიან ძლიერი არ ყოფილა, მაგრამ ანტარმა ის კარგად შეასრულა.

— ეს შენი მერამდენე საგოლე გადაცემა იყო მიმდინარე ბუნდესლიგაში?

— როგორც გერმანელმა ჟურნალისტებმა თქვეს, მეექვსე. ამ შეხვედრაში საკუთარი თავით კმაყოფილი დავრჩი.

— „ფრაიბურგი“ ახლა მე-9 ადგილზეა და მეხუთეადგილოსან „ბოხუმს“ ხუთი ქულით ჩამორჩება, მეხუთე ადგილი კი უეფას თასის საგზურს იძლევა — იქნებ „ფრაიბურგმა“ ერთხელაც მოახერხოს უეფას თასზე თამაში?

— „ლევერკუზენთან“ მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ, მაგრამ უეფას საგზურზე ფიქრის დრო ჯერ არ დამდგარა. თუ მომდევნო ხუთ მატჩსაც კარგად ვითამაშებთ, ამაზე ფიქრი მერეღა შეიძლება.

— ლევერკუზენელთაგან ყველაზე უფრო ვინ გამოირჩა თქვენთან შეხვედრაში?

— ყველა ფრაიბურგელმა ყველა ლევერკუზენელს აჯობა — ეს თავად ლევერკუზენელებმაც აღიარეს მატჩის შემდეგ. ეს გამარჯვება ჩვენთვის იმითაცაა ფასეული, რომ ბუნდესლიგის პირველი წრის ბოლო ორი მატჩი ისე წავაგეთ, რომ ათი ბურთი გავუშვით. და კიდევ, რაც „ფრაიბურგში“ ვარ, „ლევერკუზენისთვის“ შინ აქამდე არ მოგვეგო.

— რაც ფრაიბურგელი ხარ, გერმანიაში მხოლოდ ერთი გუნდისთვის ვერ მოგიგიათ...

— ეგრეა, „ბაიერნილა“ დაგვრჩა, რომელსაც ჯერ ვერც ფრაიბურგში მოვუგეთ და ვერც მიუნხენში.

**დავით თავართქილაძე**

# ბურდულმა იცის, რომ პახატ ბუდეტ

## ლადო ისე გაიქცა, გააჩერეს

### კიევში სანდრო იაშვილიც მოიკითხეს

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, კიევის „დინამოში“ კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელის გადასვლას წინ აღარაფერი უდგას. ლადო ბურდულით დაინტერესებას არც დინამოელთა მთავარი მწვრთნელი ალექსეი მიხაილიჩენკო მალავს. კიეველთა მწვრთნელმა ინტერვიუ თავაზიანად კი აიცილა, მაგრამ მთავარ კითხვას ვერ გაექცა და ბურდულთან დაკავშირებით ეს გვითხრა: „ლადოს შეძენა ჩვენ ადრეც გვსურდა, თუმცა რევაზ ჩელებაძემ ჯერ ამისულაშვილი ჩამოგვიყვანა. ალეკომ მასზე გაცემული ავანსები გაამართლა, ლადოს კი ჩვენ ადრევე ვაკვირდებოდით. მისი თამაშით ჩვენი ვიცეპრეზიდენტი იოჟეფ საბოც იყო აღფრთოვანებული. ალბათ მის ტრანსფერს წინ აღარაფერი დაუდგება.“

ამის შემდეგ ლადოსაც შევეხმიანეთ.

— კიეველებმა გუშინ კი მითხრეს, მხოლოდ იძუნძულებო, მაგრამ დღეს გუნდთან ერთად ბოლომდე დამტვირთეს. ვარჯიშისას საბომაც დარეკა და მიხაილიჩენკოს უთხრა, ბურდული ახალი ნაავადმყოფარია, სიცხე ჰქონდა და ბოლომდე არ დატვირთოო. მიუხედავად ამისა, ასმეტრიანი სპრინტები მარბენინეს. პირველში საუკეთესო ვიყავი, მეორეშიც იგივე განმეორდა. მესამე გაქცევისას უკვე მეორე მივედი. მერე მეოთხე... ვგრძნობდი, რომ ვირუსმა, რომელიც თბილისში შემეყარა, თავისი კვალი დატოვა. მიუხედავად ამისა, ხორვატ ლეგიონერზე, ჩერნატზე ცუდად ერთხელაც არ მირბენია. შემდეგ უკვე კიეველთა ექიმმაც ამიკრძალა სირბილი და დამასვენეს. მერეღა მითხრეს, კალაძემ ასეთი სპრინტების დროს პირველ გაქცევის შემდეგ ვარჯიშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა, დემეტრაძემ კი მეორის შემდეგო.

— მომავალ პარტნიორებს თუ დაუახლოვდი?

— ძალიან მაგარი კაცია ხაცკევიჩი. მამხნევებს და ყველაფერში მეხმარება. მანაც მითხრა, ნაავადმყოფარი რომ იყავი, მიხაილიჩენკომ იცოდა და არ უნდა ევარჯიშებინეო. საერთოდ, შევამჩნიე, რომ, ჩვენი „დინამოსი“ არ იყოს, ლადაობა აქაც ჩვეულებრივი ამბავია და ამ საქმეშიც ხაცკევიჩია პირველი.



— სხვა თბილისელებისადმი ხომ არ იჩენენ კიეველები ინტერესს?

— როგორც გავიგე, სანდრო იაშვილის შეძენითაც ძალიან დაინტერესებულან. შესაძლოა, მისი ტრანსფერიც მალე გამოვიდეს.

— ესპანეთში გასასინჯად მიდიხარ თუ...

— არა მგონია, სინჯები დამჭირდეს. ჩემით ადრევე ყოფილან დაინტერესებული. ასე რომ, იქ ჩვეულებრივ მოსამზადებელ ეტაპს გავივლი. ბოლომდე აღვიდგენ ფორმას და მერე ვნახოთ, ვინ ვის ველარ გაუძლებს. ისე, მიხაილიჩენკომ თქვა, ბურდული ესპანეთში სხვებივით „პახატ ბუდეტო“...

**დავით ერაძე**

# დემეტრაძეს საკუთარი სასწაულები არ უკვირს

## სხვა რამ უკვირს: სად არის ნაკრების მწვრთნელი, სად არის გამოძახება?



*გოჩა ჯამარაულისა და გიორგი დემეტრაძის დონეცკის „მეტალურგმა“ ორკვირიანი ანთალიური შეკრება უკვე მოილია, ორიოდ დღით დონეცკში შეიარა და ახლა მზადებას ბარსელონის მახლობელ კურორტ ჟერალდაში განაგრძობს. ჩვენები, ისევე როგორც უკრაინის ჩემპიონატის პირველ წრეში, მოსამზადებელ ეტაპზეც გამორჩეულნი არიან, „მეტალურგში“ამინდს ისინი ჰქმიან და ჰოლანდიელ მწვრთნელს ვილემ ფრეშს ყველაზე მეტად სწორედ ჯამარაულ-დემეტრაძისა ეიმედება. ანთალიაში რუსული „შინიკისთვის“ გატანილი დემეტრაძის გოლი კი ფრეშს საფეხბურთო შედევრად შეუფასებია*

— „შინიკს“ რომ გავუტანე, ისეთი გოლები თითქმის ყველა ვარჯიშზე გამაქვს, მეკარე დატანჯული მყავს — გვითხრა დემეტრაძემ, ესპანეთში რომ დავუკავშირდით — არ ვიცი, მწვრთნელი „შინიკთან“ გოლმა რატომ გააოცა, თუმც ფაქტია, მოედანზე შემოვარდა და ხელში ამიტაცა, სასწაული იყოო, ასჯერ მითხრა.

**— ანთალიაში ბლომად გოლები გაიტანე?**

— შვიდი-რვა. თამაშს უგოლოდ არ ვამთავრებდი. ჯამარაული პასებს ხატავდა, მე კი გამქონდა. ანთალიაში რამდენიმე მატჩი ვითამაშეთ, რუსებს ვხვდებოდით და სისხლსაც ვუშრობდით.

**— ანთალიიდან პირდაპირ ესპანეთში წახვედით?**

— არა, ორი დღით დონეცკში ჩავედით, დავისვენეთ და აქით წამოვედით. 18 თებერვლამდე ჟერალდაში დავრჩებით, მერე ისევ დონეცკში დავბრუნდებით და 10-დღიან შეკრებაზე ჰოლანდიაში წავალთ. იქამდე კი შტუტგარტში მოსკოვის „ლოკომოტივთან“ გვაქვს ამხანაგური მატჩი დაგეგმილი.

**— უკვე სასურველ ფორმაში ხარ?**

— ჯერ არა. ანთალიაში თამაშისას თუ გვქონდა ბურთი, თორემ ისე სულ დავრბოდით, ის შეკრება ფიზიკური მომზადებისთვის იყო. ბურთით ვარჯიში კი აქ დავიწყეთ.

**— ჯანმრთელობას ხომ არ უჩივი?**

— არა, ყველაფერი კარგადაა. ხანდახან თუ წამომტკივდება ფეხები, თუმცა სერიოზული არაფერია, დიდი დატვირთვები გვაქვს და მცირე ტრავმებიც ამის ბრალია.

**— გუნდში ბევრია ახალი ფეხბურთელი?**

— ერთი ნახევარმცველი იყიდეს, არსენალელი კოლე ტურეს ძმა. მეორე დღეა, ჩვენთანაა და როგორი ფეხბურთელია, ჯერ არ ვიცი.

**— ჩანს, ჩემპიონატისთვის სერიოზულად ემზადებით. გუნდის მიზანი ხომ არ შეცვლილა?**

— არაფერი შეცვლილა. კიევის „დინამოს“ და „შახტარს“ პირველ-მეორე ადგილებისთვის ვერავინ შეეცილება, ჩვენ და „დნიპრო“ კი მესამეობისთვის ვჭამთ ერთმანეთს. სადღეისოდ „დნიპრო“ ოთხი ქულით გვისწრებს, მაგრამ მთელი მეორე წრე წინაა, კალენდარი ჩვენ უკეთესი გვაქვს და ალბათ „დნიპროსაც“ მოვიტოვებთ.

**— „ლოკომოტივის“ გარდა ამხანაგური მატჩები რომელ გუნდებთან გაქვთ დაგეგმილი?**

— ზუსტად არ ვიცი, მგონი, მოსკოვის „სპარტაკს“ და „შახტარსაც“ უნდა ვეთამაშოთ.

**— გუნდის გამოცვლასთან დაკავშირებით რამე ახალი ხომ არაა?**

— ამ სეზონს, ნაღდი ვიცი, „მეტალურგში“ ჩავამთავრებ. მერე კი ვნახოთ, სერიოზულმა გუნდმა თუ მიმიწვია, რატომაც არა, წავალ.

**— „ბრიუგე“ სერიოზული არ იყო?**

— იყო, მაგრამ აღარ არის. ყოველ შემთხვევაში, ბელგიელები ძველებურად აღარ აქტიურობენ, ალბათ, ისინიც სეზონის დამთავრებას ელიან. შუა სეზონში გუნდები ცვლილებებს ერიდებიან.

**— ორ კვირაში ნაკრები კვიპროსის ტურნირზე სათამაშოდ მიემგზავრება. შენ და ჯამარაულმა გამოძახება უკვე მიიღეთ?**

— არაფერიც არ მიგვიღია. კლუბში ჩვენთვის არაფერი უთქვამთ.

**— კიევში რომ შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე მოლაპარაკება ჩაიშალა, ალბათ იცი...**

— კი, ვიცი და გამკვირვებია თურქების. რაღაც უაზრო მოთხოვნები ჰქონიათ.

**— შენი აზრით, ნაკრებმა შესარჩევ ეტაპს შინ თამაშით უნდა იწყებდეს თუ სტუმრად?**

— ჩვენ, ფეხბურთელებს გვჯობს, რომ პირველი თამაში შინ გვქონდეს, თანაც შედარებით სუსტ გუნდთან. ვთქვათ, ყაზახეთთან, ალბანეთთან, თუნდაც უკრაინასთან.

**— ბოლო?**

— ბოლო მატჩამდე ჯგუფში ყველაფერი გარკვეული იქნება.

**— ნაკრების მწვრთნელის თაობაზე რას იტყვი?**

— რა უნდა ვთქვა, მეგონა, ნაკრების მწვრთნელი უკვე დანიშნული იქნებოდა. როგორც ვიცი, ყველაზე რეალური კანდიდატი ანრი მიშელია, მას გამოცდილება და სახელი არ დაეწუნება და ვფიქრობ, გამოგვადგება. თუ ის დანიშნეს, ეგებ რამე გვეშველოს.

**ქობა ინასარიძე**



# ყაზახები ქართველებზე მშიშრები არიან

## ოღონდ ის მაინც იციან, ვინ ათამაშებს და ვის ათამაშებენ

**18 თებერვლიდან** კვიპროსი საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. რვა მონაწილეს შორის საქართველოს ნაკრებიცაა, რომელიც დღესდღეობით ყველაზე მოუმზადებელია სამტურნიროდ. ქართველებს ჯერჯერობით მწვრთნელი არ ჰყავთ და, ბუნებრივია, კვიპროსზე გასამგზავრებელი შემადგენლობაც არ შერჩეულა. ჩვენი ბანაკიდან ჯერ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ნაკრები უთუოდ ითამაშებს ტურნირზე და ალბათ ჩვენი გუნდის ძირითადი ბირთვი კვიპროსულ შეკრებაზე მყოფი დინამოელებით იქნება დაკომპლექტებული.



კვიპროსულ ტურნირს საქართველოს ნაკრები ლარნაკის ამ სტადიონზე დაიწყებს

### კვიპროსის ტურნირი

| | |
|---|---|
| **პირველი ტური. 18 თებერვალი** | |
| A. კვიპროსი — ბელარუსი | C. ლატვია — ყაზახეთი |
| B. რუმინეთი — საქართველო | D. უნგრეთი — სომხეთი |
| **მეორე ტური. 19 თებერვალი** | |
| A წყვილის გამარჯვებული — | B წყვილის გამარჯვებული |
| C წყვილის გამარჯვებული — | D წყვილის გამარჯვებული |
| A წყვილის დამარცხებული — | B წყვილის დამარცხებული |
| C წყვილის დამარცხებული — | D წყვილის დამარცხებული |

რვა ნაკრებში ჩვენი თანაჯგუფული ყაზახეთიცაა, თუმცა შესაძლოა, ყაზახეთს კვიპროსზე საერთოდ არ მოუხდეს ქართველებთან თამაში, მაგრამ სავარაუდო მეტოქე ნაღდადაა, რაკიღა ტურნირის ფორმატით თითოეულ ნაკრებს სამსამი თამაში უწევს და მომავალი მეტოქის ვინაობაც პირველი მატჩის შედეგზე იქნება დამოკიდებული. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ყაზახებს საამტურნიროდ 32 ფეხბურთელი უკვე შეუკრებიათ და ერთი კვირაა, ემზადებიან. მწვრთნელები 32-დან 22 ფეხბურთელს შეარჩევენ. ყაზახები გვარიანად ნაშიშილები ჩავლენ კვიპროსზე, რაკიღა ბოლოს სამი წლის წინ იმარჯვეს მაკაოსთან მატჩში, მას მერე კი შვიდთამაშიანი მოუგებელი სერია დაჰგროვებიათ.

ბოლოს კვიპროსული ტურნირის კალენდარზეც ვთქვათ. პირველსავე მატჩში ანუ მეოთხედფინალში საქართველოს რუმინეთი ჰყავს მეტოქედ. წარმატების შემთხვევაში ჩვენები კვიპროს-ბელარუსის წყვილს შორის გამარჯვებულს შეხვდებიან ნახევარფინალში. რუმინეთთან საქართველო 18 თებერვალს ლარნაკაში GSZ-ს სტადიონზე ითამაშებს. ლარნაკაშივე გაიმართება ფინალური მატჩიც.

**პაატა ქვანტალიანი**

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

### ჩვენი მეტოქე

დანია

# ნადით, ბავშვებო, სახლში

**2006 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე, დანია, ახლახან დაბრუნდა აშშ-დან. მთავარმა მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა შეგირდები ოკეანისგაღმა ტურნეში წაიყვანა. დანიის ნაკრები ულეგიონერებოდ ესტუმრა შტატებს. ოლსენმა ასეთი ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ ნაკრებისთვის ახალი სისხლი გადაესხა, თუმც მწვრთნელი ნანახით გაწბილებული დარჩა.

— ამ ბიჭებს არაფრის თავი არ ჰქონიათ. სისწრაფე და ზუსტი პასი მათთვის უცხო ხილივითაა. ნებისმიერ ილეთს ზოზინით აკეთებენ. ეგებ, ასეთი თამაში მათ დანიის ჩემპიონატში ჰყოფნით, მაგრამ სანაკრებო დონისთვის ეს ძალიან მცირეა — განაცხადა ნაწყენმა ოლსენმა.



მორტენ ოლსენი

დანიელებმა ამერიკაში სამი მატჩი გამართეს: ჯერ აშშ-ის ნაკრებს 1:1 დაუზავდნენ, მერე კი ერთნაირი ანგარიშით, 1:3 წააგეს ამერიკის კლუბების ნაკრებთან და სალვადორულ „აკილასთან“.

ოლსენის თქმით, აშშ-ში მხოლოდ „ბრონდბიუს“ ნახევარმცველი მორტენ ვიგჰორსტი და „კოპენჰაგენის“ თავდამსხმელი პეტერ სკოვ-იენსენი გამოირჩნენ. ისინი პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატზეც წავლენ, დანარჩენები კი... შინ.

**ქახა შალამბერიძე**

*თემურ მახარაძე ბოლნისურ „სიონს“ დაუბრუნდა. მწვრთნელსა და კლუბის ხელმძღვანელებს შორის გუშინ საბოლოო შეთანხმება შედგა და მეორე ეტაპზე ქვემოქართლელებს ისევ მახარაძე გაწვრთნის.*

*ახალი მწვრთნელის ძიებაში „სიონი“ მას შემდეგ იყო, რაც გუნდი ოთარ გაბელიამ დატოვა. გაბელიამ პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ სახსარმოკლებულ „სიონში“ დარჩენა არ ისურვა და გუნდის მესაჭეობაც მეორე მწვრთნელმა, გიორგი ყიფშიძემ ითავა. სწორედ ყიფშიძე უძღვებოდა ლამის განახევრებული „სიონის“ საწვრთნელ პროცესს*



ძველი ბოლნისური სურათი — მწვრთნელი თემურ მახარაძე, თანაშემწე გიორგი ყიფშიძე

# სიონს მახარაძე უხარია და აჭარა აშინებს

თემურ მახარაძის ბოლნისში დაბრუნება კი ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც „სიონიდან“ მისი წასვლა. უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოთიშვას თუ არ ჩავთვლით, მახარაძე წარმატებით და შედეგიანად უძღვებოდა გუნდს — „სიონი“ მესამე ადგილზე იყო ჩემპიონატში, კლუბის მესვეურთა გადაწყვეტილებით უმუშევარი რომ დარჩა.

მახარაძის ბოლნისში დაბრუნება კი მოულოდნელი იმიტომ გახლდათ, რომ ცოტა ხნის წინ „მცხეთას“ გაწვრთნაზე დაყაბულდა და გუნდს უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ამზადებდა, თუმც ბოლნისელებმა მაინც მოახერხეს მისი გადაბირება.

— თემურ მახარაძე 4 თებერვალს შეუერთდება „სიონს“. მისი დაბრუნებით ყველა გახარებული და კმაყოფილია და ვიმედოვნებთ, მახარაძის ძალისხმევით „სიონი“ მეორე ეტაპზეც წარმატებით ითამაშებს. ჩვენი მიზანი კვლავაც ერთერთი ევროსაგზურის მოპოვება იქნება — გვითხრა გუშინ „სიონის“ ტექნიკურმა დირექტორმა პეტრე დანელიამ.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ „მცხეთადან“ ბოლნისელებს ფეხბურთელიც დაუბრუნდათ. შალვა ხუჯაძე ერთი თვის წინ გაეცალა ქვემოქართლელებს კონტრაქტის დამთავრების გამო და სწორედ „მცხეთაში“ ემზადებოდა სამეორეეტაპოდ, თუმც თემურ მახარაძის რჩევით ის კვლავ „სიონში“ აღმოჩნდა.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ სიონელები გახდებიან ალექსანდრე ბურნაძე და შოთა ჩომახიძე. ბურნაძე ყაზახეთიდან დაუბრუნდა გუნდს. უკრაინიდან ჩამოსულ ჩომახიძეს კი ბოლნისელები პირობებზე შეუთანხმდნენ, რაც ბოლნისის გამგეობის დამსახურებაცაა. ახალი გამგებელი დავით ჭიჭიკოშვილი სიონელებს დაჰპირდა, ავტობუსს გიყიდითო.

— აქამდე მიკროავტობუსით დავდიოდით თამაშებზე. რა თქმა უნდა, გუნდისთვის სასურველი და აუცილებელიცაა საკუთარი ავტობუსი, თუმც გამგებელს ვთხოვეთ, ავტობუსი მერე იყოს, ჯობს, ამ ფულით სასურველი ფეხბურთელები შევიმატოთო. ისიც დაგვთანხმდა და ალბათ სამეორეეტაპოდ რამდენიმე გამოცდილ მოთამაშეს დავიმატებთ — გვითხრა პეტრე დანელიამ.

ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად „სიონი“ 10 თებერვლიდან ჩაქვში აპირებდა შეკრებას, თუმც ბოლნისელებს აჭარაში მიმდინარე პროცესები აშინებთ და შესაძლოა, გუნდი ბაკურიანში გაემგზავროს საწვრთნელად.

**ბაატა ქვანტალიანი**

# აკადემიური 1:1
## ამერის წაუგებელი უმაღლესლიგური

**სეზონისწინა** მატჩში, რომელიც თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის წიდის მოედანზე გაიმართა, „ამერმა“ უმაღლესლიგელ „სპარტაკთან“ ტოლსწორი ბრძოლა გააჩაღა.

შეხვედრის დაწყებისთანავე „ამერი“ მეტოქის საჯარიმოს გაუშინაურდა და რამდენიმე შეტევის შემდეგ საგოლე მომენტი შექმნა, რომელიც კარში არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

„ამერმა“ მეტოქეს ტაიმის შუაწელში აჯობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბურთმა „სპარტაკის“ ნახევარზე გადაინაცვლა, თუმც დამხვდურთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ერთობ მოინდომეს და მოწინააღმდეგეს იოლად გასეირნების უფლება არ მისცეს.



ამერის შემტევმა რატი წინამძღვრიშვილმა (მარცხნივ) თავი გოლით გამოიჩინა

ტაიმის ბოლოს „ამერმა“ მარჯვენაფლანგური გარღვევებით მეტოქე გვარიანად შეაწუხა და საბოლოოდ შედეგსაც მიაღწია. ამერელთა სწრაფ იერიშს მეტოქის საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, ბურთი კი წინამძღვრიშვილს აუხტა — რატიმ აბრაგანი ამოჰკრა და მეკარისგან მარცხენა მაღალ კუთხეში ჩასვა — 1:0.

მატჩის სანახავად მისულთა რაოდენობამ მეორე ტაიმის დასაწყისში იკლო. „სპარტაკის“ შემადგენლობა მურთაზ ხურცილავამ საფუძვლიანად შეცვალა, რასაც „ამერის“ შემადგენლობაშიც მოჰყვა ცვლილებები. ყოველივე ამან თამაშს ხასიათი შეუცვალა და ამას სპარტაკელთა გოლიც მოჰყვა. კუთხურის ალმის სიახლოვიდან გათამაშებული ჯარიმისას მაღლაფერიძემ ამერის მცველებს დაასწრო და თავურით გაათანაბრა.

შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთი რჩებოდა და მეტოქეებმა არ გარისკეს, შეცვლების შესაძლებლობა გამოიყენეს და ამხანაგური მატჩი 1:1-ით დასრულდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ანთალიამდე ვიტელები ერთმანეთში გაერკვნენ
## კობიაშვილი თურქეთში კოჭმა არ გაუშვა

**თბილისური** „ვიტ ჯორჯია“ ანთალიაში 4 თებერვალს მიემგზავრება და თურქეთში წამსვლელთა სიაც ფაქტობრივად გამზადებული აქვს: *მერლანი, მამარდაშვილი, ბედიაშვილი, იმედაშვილი, ლ. მერებაშვილი, ე. მერებაშვილი, კვახაძე, კუპრეიშვილი, გველესიანი, ზვ. ლაბაძე, დილმელაშვილი, დეკანოსიძე, ლ. კვარაცხელია, ი. შენგელია, მალიჩავა, გოჩაშვილი, დათუნაიშვილი, გოცირიძე, ადამია, ბერელიძე, მარცვალაძე, ებანოიძე, ლ. ნოზაძე და ინწკირველი.*

ამ 24 ფეხბურთელს ანთალიაში ვერ გაჰყვება გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე თენგიზ კობიაშვილი, ვინც კოჭის ოპერაცია გაიკეთა. ის ვარჯიშს ერთ კვირაში თუ შეუდგება.

გუშინ კი ავჭალაში, „სინათლის“ სტადიონზე „ვიტ ჯორჯიამ“ ორმხრივი თამაში გაახალა. მიუხედავად შერეული შემადგენლობისა, პირველი გუნდის ბირთვი გამოკვეთილი იყო და შეხვედრაც მათ მოიგეს 4:3. ანთალიაში „ვიტჯორჯიას“ ხუთი საკონტროლო მატჩის გამართვა განუზრახავს, თუმც მეტოქეთა ვინაობა ჯერ დაუზუსტებელია.

**დავით თავართქილაძე**

# კალაძე დინამოში არ ჩანს

**თბილისის** „დინამო“ კვიპროსზეა. ქვეყნის თერთმეტგზის ჩემპიონი ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „მელისში“ კომფორტულად მოეწყო და ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს. ამავე სასტუმროშია პოლონური „ლეგიაც“.

დინამოელებმა უკვე სამი ვარჯიში ჩაატარეს, დღეს ორჯერადი ვარჯიშის ჯერია. ცნობილი გახდა იმ გუნდების ვინაობაც, ვისთანაც თბილისელები თავიანთ პირველ მატჩებს ჩაატარებენ. 4 თებერვალს „დინამო“ ჩეხურ „ბრნოს“ დაუპირისპირდება, 6 თებერვალს კი პოლონურ „ლეგიას“. მომდევნო ორი მეტოქის ვინაობა კი ორ დღეში გაირკვევა. სავარაუდო მეტოქეთა შორის განიხილება ბულგარული „ლიტექსიც“, თუმცა გამორიცხული არაა, ქართველები რუსული პრემიერლიგისა და სკანდინავიურ გუნდებსაც დაუპირისპირდნენ.

დასუსტებული „დინამო“ კადრების შევსებაზეც ფიქრობს. შესაძლოა, ხვალ გუნდს ორი ბრაზილიელი ლეგიონერიც შეუერთდეს. მათი ამპლუის შესახებ ცნობილი ჯერ არაფერია. როგორც „დინამოს“ სპორტულმა დირექტორმა გივი ნოდიამ გვითხრა ბრაზილიელები ნებისმიერი ამპლუის მოთამაშეები შეიძლება იყვნენ, მთავარია, მათი საჭიროება ივო შუშაკმა დაინახოს.

ვარჯიში განაახლა მოსკოვში ტრავმირებულმა ირაკლი ზოიძემ. მამუკა წერეთელიც თავს უკეთ გრძნობს და გუნდთან ერთად ვარჯიშობს. რაც შეეხება ანზორ კალაძის გადინამოელებას, როგორც ჩანს, ეს ტრანსფერი გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული — ანზორ კალაძე ჯერ არ შეერთებია „დინამოს“ და მის გამოჩენას არც უახლოეს პერიოდში ელიან. საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე კი ჩვეული მონდომებით ირჯება ახალ გუნდში.

**დავით ერაძე**

# შემიფარე, ძია ვანო, მეიტა პაწა ფარა
## მერცხალს ბარტყები დაემშა

**საქართველოს** ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში წლეულს დაბრუნებულმა ოზურგეთის „მერცხალმა“, შესაძლოა, სეზონის ბოლომდე ველარ მიატანოს. ყოველ შემთხვევაში, პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ გურულები დღემდე უსაქმოდ არიან და სამი თვის დავალიანების გასტუმრებას ელიან. გუნდს ფინანსურ დახმარებას ვანო ჩხარტიშვილი ჰპირდება, მას „მერცხალის“ მესვეურები გუშინ შეხვდნენ რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად და პასუხს, სავარაუდოდ, დღეს მიიღებენ.

იქამდე კი „მერცხალი“ ორმა ფეხბურთელმა დატოვა. მალხაზ ჭინჭარაულს ოზურგეთელებთან ექვსთვიანი იჯარის ვადა გაუვიდა და ახლა „ტორპედოში“ ვარჯიშობს, ვეტერანმა ჯონი კალანდაძემ კი ფოთის „კოლხეთს“ მიაშურა და მეორე წრიდან, ალბათ, იქვე ითამაშებს. სხვა ფეხბურთელები ჯერჯერობით გუნდში ირიცხებიან, გუნდთან მათი კონტრაქტები სეზონის ბოლოს მთავრდება, თუმცა გურულებმა ფინანსური საქმეები ამ დღეებში თუ ვერ მოაგვარეს, „მერცხალის“ ხელმძღვანელობა იძულებული იქნება, ფეხბურთელებს გათავისუფლების ფურცლები ჩამოურიგოს.

ოზურგეთში დღეს იმასაც შიშობენ, რომ გუნდმა თუ ჩემპიონატში თამაში ვერ გააგრძელა და დაიშალა, პირველ ლიგაშიც დაკარგავენ ადგილს. ახალი „მერცხალის“ შექმნა კი უძნელესი და დიდი ხნის საქმე იქნება. სადღეისოდ „მერცხალი“ ორი კაცის, ტექნიკური დირექტორის ბახვა გიორგაძისა და მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლის აკაკი ათუაშვილის იმედზეა.

**კობა ინასარიძე**

# ქართველები ნაზამთრალზე


დავით სირაძე ამიერიდან გერმანელ მეკარეებს შეაწუხებს

**ევროპულმა** ლიგებმა ზამთრის ძილი მოილიეს და საჩემპიონატო გზა განაგრძეს. ჩვენც, ტრადიციულად, ქართველ ლეგიონერთა ნახელავს გადავხედოთ.

დავიწყოთ გერმანული ბუნდესლიგით. ამ უქმეებზე განახლებულ არიულ ჩემპიონატში ორივე „ქართული" გუნდი გამოირჩა. ლევან კობიაშვილის „შალკემ" სტუმრად „დორტმუნდი" 1:0 იმსხვერპლა. იგივე ანგარიშით, ოღონდ შინ, იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგმა" საგარეო მატჩებში აქამდე დაუმარცხებელ „ლევერკუზენს" დააყარევინა ფარ-ხმალი. ორივე გუნდში ქართველი ფეხბურთელები აქტიურობდნენ. კობიაშვილმა გელზენკირხენელთა მარცხენა ფლანგი ჩაიბარა და მასპინძელთა კაპიტან ტომაშ როსიცკისაც ნაადრევად დაატოვებინა მოედანი — ჩეხს ჩვენებურთან უხეშობა მსაჯმა გაძევებად შეუფასა.

„ფრაიბურგმა" კი ალექსანდრე იაშვილის გარჯით მოიგო. ქართველმა თავდამსხმელმა საგოლე პასი გაუხერხა ლიბანელ ანტარს და მატჩის ერთადერთი გოლიც ასე გავიდა. ტრავმის გამო არ უთამაშია ლევან ცქიტიშვილს, რომელსაც ავადმყოფობამ მოსამზადებელი ეტაპიც გააცდენინა.

ქართველებისთვის ერთნაირად დაიწყო მეორე ბუნდესლიგაც. ხვიჩა შუბითიძის აუე-მ სტუმრად „რეგენსბურგს" (1:1) აართვა ქულა, ხოლო სავიზო პრობლემების გამო ჯერაც თბილისში მყოფ დავით სირაძის „უნიონმა" „მაინცთან" დადო ზავი.

შოტლანდიაში უარველაძეო „რეინჯერსმა" გაჭირვებით მოუგო „პარტიკს". შოთას ტრავმა აწუხებს, ზურაბ ხიზანიშვილი კი მწვრთნელმა 66-ე წუთზე შეცვალა.

თავის გუნდს ვერაფრით შეეშველა გოგა გახოკიძეც. „ტვენტე" ბოლომდე ებრძოლა მრისხანე „ფეიენოორდს", თუმც 2:3 დამარცხდა. ქართველ ნახევარმცველს დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია. სხვათა შორის, მიმდინარე სეზონში „ტვენტემ" პირველად ითამაშა ჰოლანდიის ჩემპიონატში გახოკიძის გარეშე.

ორი დებიუტიც კვიპროსზე — კლიმენტი წიტაიშვილმა და გიორგი გაბიდაურმა პირველად მოირგეს „ანართოსისის" მაისურა. „ანართოსისმა" 1:0 მოუგო გიორგი ქორიძის „ონისილოსს".

„პარალიმნიმ" ლევან ქებაძის გოლით დაამარცხა „ანაგენისი" და მე-7 ადგილამდე აღზევდა, აელ-ს კი აეკ-ის ძლევაში ლევან მაღრაძემაც მიაშველა ერთი გოლი.

**ბახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ბოლონია 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 1 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | დორტმუნდი 1:0 | 90 | | 17 | 0 | 6 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ლევერკუზენი 1:0 | 90 | საგოლე პასი | 17 | 6 | 9 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ლევერკუზენი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 15 | 1 | 9 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | რეგენსბურგი 1:1 | 29 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 6 | 14 |
| დავით სირაძე | უნიონი | შ | მაინცი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 17 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | პარტიკი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 11 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | პარტიკი 1:0 | 66 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 15 | 0 | 2 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | ფეიენოორდი 2:3 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 18 | 0 | 5 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | ონისილოსი 1:0 | 90 | | 13 | 4 | 5 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | შ | ონისილოსი 1:0 | 90 | | 1 | 0 | 5 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | ონისილოსი 1:0 | 63 | შეცვალეს | 1 | 0 | 5 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | ანაგენისი 1:0 | 90 | 1 გოლი | 10 | 8 | 7 |
| ლევან მაღრაძე | აელ | შ | აეკ 4:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 11 | 2 | 4 |
| გიორგი ქორიძე | ონისილოსი | ს | ანართოსისი 0:1 | 90 | | 12 | 7 | 13 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ხიზანეიშვილს მარბელა აღირსეს



**ახლახან** გაუწყეთ, რომ ესპანურ მარბელაში შეკრებაზე წასულ მოსკოვის „დინამოს" სავიზო პრობლემების გამო ქართველი ოთარ ხიზანეიშვილი ვერ გაჰყვა. ჩვენებურის მსგავსად მოსკოვში დარჩნენ მოლდოველები — კოვალენკო და კატინსუსი.

კვირას კი ხიზანეიშვილს ესპანეთის გზა გაეხსნა. პირინეელებმა ოთარს ვიზა მისცეს და ისიც ორიოდ დღეა, „დინამოს" შეუერთდა. ესპანეთში გამგზავრებამდე ხიზანეიშვილი თურქეთში, მოსკოველთა სარეზერვო გუნდთან ერთად ვარჯიშობდა და ერთ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობაც მოასწრო: „დინამო 2" ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" 4:3 დაამარცხა. ხიზანეიშვილმა 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

ქართველი მცველის ესპანეთში ჩასვლამ „დინამოს" ჩეხი თავკაცი იაროსლავ გჟებიკი გაახარა. მან იმედი გამოთქვა, რომ „ხიზანას" მერე გუნდს კოვალენკო და კატინსუსიც შეუერთდებიან.

**ბახა შალამბერიძე**

*მეორე ბუნდესლიგის სამეორეწრეო პირველ ტურში ერცგებირგეს აუე კვირას სატურნირო ცხრილის მეზობელ „რეგენსბურგს" ესტუმრა. ჩვენებურ ხვიჩა შუბითიძის გუნდმა თოვლიან მატჩში გაიჭირვა და საბოლოოდ საპატიო ფრეს გამორჩა მეტოქეს*


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხვიჩას გოჩა მარეკია

მატჩი სტუმრებისთვის კატასტროფულად დაიწყო — „რეგენსბურგმა" დებიუტშივე შეძლო გოლის გატანა. ამ დროს რუსთაველი შემტევი სათადარიგოთა სკამზე იჯდა, რადგან აუე ერთადერთი ფორვარდით უტევდა. ეს კაცი კი გუნდის ახალწვეული, პოლონელი მარეკ იუსკოვიაკი გახლდათ.

— პირველ ტაიმში შეტევაში ფაქტობრივად არაფერი გამოგვდიოდა, მეტიც, მეტოქეს აქეთ ჰქონდა გასატანი და მეკარე ჰანელმა რამდენჯერმე გადაგვარჩინა — გვითხრა ხვიჩა შუბითიძემ, ნამატჩევს რომ შევეხმიანეთ.

აუეს მწვრთნელმა შედლიხმა ქართველი 61-ე წუთზე შეიყვანა მოედანზე გურის ნაცვლად და სტუმართა თამაშიც გამოცოცხლდა, ჩვენებურმა იუსკოვიაკს კარგად აუბა მხარი და აუესაც შანსი გაუჩნდა.

— მე და იუსკოვიაკი კარგად შევთამაშდით საკონტროლო მატჩებისას. დუეტში რამდენიმე გოლიც გავიტანეთ, უცებ შევეგუე პოლონელს და, მგონი, ეს „რეგენსბურგთან" თამაშშიც დავამტკიცე — ესეც შუბითიძის სიტყვებია. რუსთაველი ფორვარდი გუშინ მართლაც შედეგიანად ჩაერთო თამაშში. სწორედ შუბითიძის პასით გაქვითა იუსკოვიაკმა მატჩის დამთავრებამდე 17 წუთით ადრე. დარჩენილ დროში აუეს მოსაგებიც ჰქონდა, მაგრამ იმავე იუსკოვიაკმა ზედ საფინალო სასტვენის წინ ოთხი მეტრიდან გააცუდა.

**პაატა ქვანტალიანი**

# აბრამიძეს ტრავმა ქვასავით დააწვა

*მოსკოვის „სპარტაკის" ქართველი მცველი ვალერი აბრამიძე ისევ ჰაერშია გამოკიდებული. ტრანსფერზე დაყენებულ ჩვენებურს ახალი გუნდის მოძებნაში მტკივანი კოჭიც უშლის ხელს. გუშინ აბრამიძეს მოსკოვში შევეხმიანეთ, თუმც საიმედო ვერაფერი გვითხრა...*



— „სპარტაკის" სარეზერვო გუნდში ვარჯიშის უფლება კი მაქვს, მაგრამ ახლა ამასაც ვერ ვახერხებ. ტრავმა ვერა და ვერ მოვირჩინე.

**— ექიმები რას გეუბნებიან?**

— საოპერაციო არ არის, მაგრამ დაახლოებით ორი კვირა დაგვჭირდებაო. სხვა რა გზაა, უნდა მოვითმინო, ამასობაში დროც გადის და კლუბის მოძებნა კიდევ უფრო გამიძნელდება.

**— არანაირი ვარიანტი არ გაქვს?**

— არა. ტრავმირებული ფეხბურთელით ვინ დაინტერესდება?!

**— სეზონი „ურალანში" ჩაამთავრე და ხომ არ არის შანსი, ისევ ელისტაში დაბრუნდე?**

— არა მგონია, ასე მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, „ურალანისკენ" გული საერთოდ არ მიმიწევს.

**— საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებასაც გამორიცხავ?**

— ჯერ მაგაზე არ მიფიქრია. ახლა ჩემთვის მთავარია, ფეხი მოვირჩინო.

**ბახა შალამბერიძე**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## იტალია

### სერია A. XIX ტური

**ინტერი 4:0 სიენა**

1:0 რეკობა (22), 2:0 ადრიანო (49), 3:0 რეკობა (67პ), 4:0 ადრიანო (79)

**ინტერი:** ტოლდო, გამარა, ადანი (ი. კორდობა 46), ფ. კანავარო (პასკუალე 69), ჰელვეგი, ფარინოსი, დ. სტანკოვიჩი (ლამუში 80), კილი გონსალესი, ხ. ძანეტი, ადრიანო, რეკობა

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

**სიენა:** ჯ. როსი, ჩირილო (ჟუარესი 79), როკე ჟუნიორი, მინანი, გიგუ, მენეგაცო (კუჩარი 85), ვერგასოლა, დავერსა, ჟუნიორი (ლუმბუტისი 85), კიეზა, ტ. ფლო

მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო

გაფრთხილება: დავერსა, გიგუ, ჩირილო, ფარინოსი

მსაჯი: როდომონტი

51 000 მაყურებელი

# აი, გამოჩნდნენ ახლებიც

**ინებეთ**: სერია A-ს პირველობის მე-19 ტურის ბოლო, კვირა ღამის შეხვედრაში „ინტერმა" „სიენას" 4:0 მოუგო და მის შემადგენლობაში ითამაშა „ლაციოდან" ერთი დღის გადასულმა დეიან სტანკოვიჩმა. და კიდევ, „ინტერის" შემადგენლობაში ითამაშა და მეტიც, ორი გოლი გაიტანა „პარმადან" ახალგადასულმა ბრაზილიელმა ადრიანომ. მაშ ასე, ბოლო ორ თამაშში, „ემპოლისა" და „მოდენასთან" მოპოვებულმა მხოლოდ ერთმა ქულამ „ინტერის" მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი, მართალია, დიდი კრიტიკის ობიექტად აქცია, მაგრამ „სიენასთან" მიღებულმა მტკიცე სამმა ქულამ აქცენტები ცოტა სხვანაირად გადაალაგა.

იანვარში ნაყიდი ფეხბურთელები გაიყვანა მოედანზე „სიენამაც". ესენი გახლდნენ ჟუნიორი და როკე ჟუნიორი, თუმცა „ინტერის" ყოფილი მოთამაშე ნიკოლა ვენტოლა დაშავებული გახლდათ და ამიტომ არ თამაშობდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლებმა შეხვედრის პირველი წამიდანვე მთელი ძალით შეუტიეს სიენელთა კარს, რის გამოც მოხდა ისე, რომ ბრაზილიელები ადრიანო და როკე ჟუნიორი ერთმანეთს შეებნენ. გამოცოცხლებულმა ურუგვაელმა ალვარო რეკობამ ფრანსისკო ფარინოსის გრძელი პასი მიიღო, ჯანი გიგუს დაუსხლტა და დაარტყა, მაგრამ ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

„სიენა" კონტრშეტევით ცდილობდა საწადელის მიღწევას. ყველაზე სახიფათო მათ შორის, როგორც მოსალოდნელიც გახლდათ, ამ საქმეში დიდად გამოცდილი ენრიკო კიეზა იყო, რომელმაც ერთი-ორ ეპიზოდში მართლა შექმნა საგოლე მომენტი, მაგრამ 21-ე წუთზე რეკობამ დიდებული დარტყმით შეხვედრა ლოგიკური მიმართულებით წაიყვანა. მან პასი ადრიანოსგან მიიღო და ახლო ძელთან ჩაახვია.

ტაიმის მიწურულს ფრანჩესკო ტოლდოს მოუხდა ტორე ანდრე ფლოს აკრობატული თავურის მოგერიება, შესვენების შემდეგ კი ადრიანომ „სიენას" მეორე გოლი გაუტანა — ბრაზილიელმა მეურვე ბრაზილიელის წასრიალებით ისარგებლა და ბურთი მეკარე ჯენარო როსის კარში შეაგდო, თუმცა მეკარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო წამსაც გაიბრძოლა კარის გადასარჩენად.



REUTERS

„სიენას" წირვა ადრიანომ და ალვარო რეკობამ დუბლებით გამოუყვანეს

როსის შესაქებად კიდევ იმას მოგახსენებთ, რომ მან ჯერ ივან კორდობას თავური მოიგერია, ხოლო შემდეგ რეკობას საჯარიმო დარტყმა.

ახლა ისევ როკე ჟუნიორზე... იგი, მოგეხსენებათ, აქამდე „მილანში" გამოდიოდა და „სან სიროზე" დიდი სახელი მაინც არ ჰქონდა დაგდებული, ასე რომ, იმდღევანდელი შეცდომებით არავინ გაუკვირვებია. მან საჯარიმოში ადრიანო წააქცია, რის გამოც პენალტი დაინიშნა, და ეს პენალტი რეკობამ გოლად გადააქცია, ბოლო-ბოლოს ხავიერ ძანეტის ჭკვიანური პასით ადრიანომ მეოთხე შეაგდო.

რაც შეეხება „ინტერის" ყველაზე ახალ, სულ 24 საათის წევრს, სტანკოვიჩს, მან 80 წუთი ითამაშა და თავი არაფრით გამოუჩენია.

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 19 | 15 | 3 | 1 | 37:9 | 48 |
| რომა | 19 | 13 | 4 | 2 | 37:9 | 43 |
| იუვენტუსი | 19 | 13 | 4 | 2 | 42:21 | 43 |
| ინტერი | 19 | 10 | 5 | 4 | 33:13 | 35 |
| პარმა | 19 | 9 | 6 | 4 | 28:21 | 33 |
| ლაციო | 19 | 10 | 3 | 6 | 27:22 | 33 |
| უდინეზე | 19 | 8 | 6 | 5 | 22:19 | 30 |
| სამპდორია | 19 | 7 | 7 | 5 | 23:21 | 28 |
| კიევო | 19 | 7 | 4 | 8 | 21:23 | 25 |
| ბრეშა | 19 | 5 | 7 | 7 | 28:32 | 22 |
| სიენა | 19 | 5 | 6 | 8 | 27:27 | 21 |
| ბოლონია | 19 | 5 | 6 | 8 | 19:26 | 21 |
| რეჯინა | 19 | 4 | 8 | 7 | 18:30 | 20 |
| მოდენა | 19 | 4 | 6 | 9 | 14:25 | 18 |
| ლეჩე | 19 | 4 | 3 | 12 | 21:35 | 15 |
| ემპოლი | 19 | 3 | 4 | 12 | 14:35 | 13 |
| პერუჯა | 19 | 0 | 11 | 8 | 22:35 | 11 |
| ანკონა | 19 | 0 | 5 | 14 | 7:37 | 5 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 16 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 11 |
| ბაცანი (სამპდორია) | 11 |
| ადრიანო (პარმა/ინტერი) | 10 |
| ვიერი (ინტერი) | 9 |
| ჩევანტონი (ლეჩე) | 9 |

# ინტერის 11

## სტანკოვიჩმა ლაციოს ფული აჩუქა

**დეიან სტანკოვიჩი** „ლაციოდან" „იუვენტუსში" კი არა, „ინტერში" გადავიდა. მასში 5,4 მილიონი დოლარი გადაიხადეს, თუმცა ეს გარიგება აგრეთვე ამ ზაფხულზე „ანკონადან" „ლაციოში" გორან პანდევის გადასვლასაც მოიცავს. ერთი სიტყვით, კომბინაცია ჩახლართულია, სტანკოვიჩი კი, რომელმაც მილანში გადასვლიდან 24 საათში უკვე ითამაშა ახალი გუნდის შემადგენლობაში, ასე ამბობს:

„მადლობელი ვარ „ინტერის", რომელმაც ასეთი ინტერესი გამოიჩინა. „ლაციოს" კი უდიდეს პატივს ვცემ, უმაღლეს დონეზე თამაშის საშუალება სწორედ ამ კლუბმა მომცა და ამიტომ უარს ვამბობ იმ თანხის ნაწილზე, რომელიც ამ ტრანსფერის შედეგად უნდა ამეღო. მგონი, რომაელების ფინანსურ მდგომარეობას ოდნავ მაინც შევამსუბუქებ. ჩემს კონტრაქტს „ლაციოსთან" ხომ 2004 წელს გასდიოდა ვადა".



დეიან სტანკოვიჩმა „ინტერში" ჯერ მხოლოდ 80 წუთი ითამაშა

„ინტერში" სერბს მე-11 ნომერი მიაკუთვნეს.

„ახლა მე ახალი თავგადასავლის წინაშე ვდგავარ. დიდი კლუბის დიდ გუნდში მოვხვდი და მყისიერად მწვრთნელის განკარგულებაში აღმოვჩნდი" — განაცხადა მან, „ინტერის" თავკაცმა ალბერტო ძაკერონიმ კი ბრძანა:

„სტანკოვიჩი ის ფეხბურთელია, რომელსაც „ლაციოს" თამაშებიდან ძალიან კარგად ვიცნობ. იგი შემტევი ნახევარმცველია, რომელიც თანდათანობით დიდებულ ცენტრალურ ნახევარმცველად ყალიბდება".

ძაკერონისგან განსხვავებით, ბუნებრივია, ტრანსფერმა უკმაყოფილო დატოვა რომაელთა თავკაცი რობერტო მანჩინი. მან თქვა:

„ჩვენ დიდი ფეხბურთელი გავუშვით. მწამდა, რომ იგი ზაფხულამდე ჩემს გუნდში მეყოლებოდა, მაგრამ რას იზამ, კლუბის გადაწყვეტილება ასეთია და სხვა გზა არ არის. ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთ. „ლაციო" ძლიერ გუნდად რჩება და მე ჯერ კიდევ მჯერა, რომ იტალიის თასის მოპოვებასაც შევძლებთ და ჩემპიონატში ოთხეულში მოხვედრასაც".

დეიან სტანკოვიჩმა „ლაციოში" ექვსი სეზონი გაატარა, 137 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 22 გოლი გაიტანა, მაგრამ დიდი კარიერის მიუხედავად, ჯერ მხოლოდ 25 წლის არის.

**პაპუნა ძედია**




# ალბერტო და ალვარო

## იმან აქო, ამან აქო

**„ინტერის"** მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი ამბობს, რომ ურუგვაელი ალვარო რეკობა, რომელმაც კვირა საღამოს „სიენას" წინააღმდეგ დიდებულად ითამაშა, მომავალშიც მისი გეგმის ნაწილი იქნება.

„ის შეუცვლელი ფეხბურთელია — თქვა ძაკერონიმ — ჩემთვის მასთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა. ალვაროს საგანგებო ნიჭი აქვს და თუ ასე თამაშს განაგრძობს, ჩემთვის მისი სამომავლო გეგმის გარეთ დატოვება წარმოუდგენელი იქნება. ერთადერთი, რაც ჩემზე არ არის დამოკიდებული, ტრავმებია. მინდა არაფერი შეემთხვეს, რათა მისმა კარგმა თამაშმა მუდმივი ხასიათი მიიღოს".

თავად ალვარო რეკობამ კი ასე თქვა:

„საერთოდ, ძაკერონისთან თავს დაუძაბავად ვგრძნობ. ტკივილითაც აღარაფერი მტკივა და ჩემი დამკვიდრებისთვის წინ აუცილებელი ხუთი თვეა. „სიენასთან" ახალმა ფეხბურთელებმაც ძალიან კარგად ითამაშეს და ზოგადადაც უნდა ითქვას, რომ ბრწყინვალე გუნდი გვყავს, სკუდეტოს ალბათ ვეღარ მოვიგებთ, მაგრამ იტალიის და უეფას თასებთან ერთად ოთხეულში მოხვედრა ნამდვილად გვინდა".

**პაპუნა ძედია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მრთი და მრთი რას მეყოფა

## ტოტი ვიერი ინატრა

ის „რომა“, რომელსაც ამ შემოდგომაზე, უფრო სწორად კი, იტალიის ჩემპიონატის პირველ წრეში ვუცქერდით, მალე დაბრუნდება — გვპირდება ამ გუნდის კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი. მოგეხსენებათ, „რომა“ 42 ქულით გახდა სერია A-ს ზამთრის ჩემპიონი, რაც იტალიის რეკორდია, მაგრამ „მილანთან“ და „ბრეშასთან“ წაგებულმა ორმა თამაშმა ცხრილში სულ სხვა გუნდებ წამოსწია.

„ჩვენ დავბრუნდებით — განუცხადა ტოტიმ ყოველკვირეულ „კონტროკამპოს“ — უბრალოდ, მთელი სეზონის განმავლობაში იმ, საშემოდგომო ტემპით თამაში გამორიცხული იყო. მოკლედ, გაგვიჭირდა, მაგრამ ამას კრიზისი არ ჰქვია. ჩვენი ფორმა და შედეგები ცოტათი დამძიმდა, ეს არის და ეს“.

გარდა ამ ტიპის განცხადებებისა, ტოტიმ თავის მომავალზეც მიგვანიშნა.

„კლუბის ფინანსურ მდგომარეობაზე ძალიან ბევრი ითქვა, გუნდს კი, მართალი რომ გითხრათ, გარანტიები უფრო ეამებოდა. მართალია, თუ ხელფასებს გვიგვიანებენ, ამის გამო ალიაქოთს არ ვტეხთ, მაგრამ მდგომარეობის ნათლად ცოდნა კი ნამდვილად გვჭირდება. ჩემი მომავალი? ისევე როგორც ადრე, ახლაც ტიტულების მოგება მინდა, კარიერას ერთი სკუდეტოთი და ერთი იტალიის სუპერთასით ვერ დავასრულებ. მინდა აგრეთვე ნაკრებში მივაღწიო შედეგს. ევრო 2004 საშუალებას მაძლევს, მთელს კონტინენტზე გამოვიჩინო თავი. ჩვენ, იტალიელები პორტუგალიაში იმ ბრაზით მივდივართ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაგვრჩა“ — თქვა „რომას“ კაპიტანმა, რომელმაც შემდეგ კრისტიან ვიერიზე ილაპარაკა:

„ერთადერთი კაცი, რომელსაც „რომასთვის“ შევიძენდი, ვიერია. ჩვენი შეტევისთვის ის იდეალური იქნებოდა. მისი თანაგუნდელობა ჩვენთვის დიდი სტიმული იქნებოდა“.

**ბაჩუნა ქედია**





ვის როგორ: ფაბიო ბაცანი ზოგს იტალიის ნაკრების წევრობის ღირსად ჯერ არ მიაჩნია

# კაკა: ადრეა კაკანი

## სანტანა ჯერ არ გაზრდილა

„მილანის“ ახალი ვარსკვლავი, ბრაზილიელი კაკა ამბობს, რომ მიშელ პლატინისთან შედარებით მას ძალიან დიდი პატივი სცეს. შეგახსენებთ, რომ 21 წლის შემტევი ექვსი თვეა, რაც იტალიურ ფეხბურთში გამოჩნდა და ამ მოკლე დროში გვარიანი სახელი დაიგდო.

„პლატინი დიდი ვარსკვლავი იყო. მართალია, მისი თამაში კარგად არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ იგი ნამდვილი ჩემპიონია. შემდეგ მისი თამაშები ვიდეოჩანაწერებით ვნახე და ვგრძნობ, რომ დიდი გზა მაქვს გასავლელი და ბევრი რამ დასამტკიცებელი. პლატინიმ ფეხბურთის ისტორია შექმნა, მე ეს არ გამიკეთებია“ — თქვა ბრაზილიელმა.

მისი თანამემამულე, „კიევოს“ გარემარბი, 22 წლის მარიო ალბერტო სანტანა კი ამბობს, რომ „იუვენტუსს“ შემოთავაზებაზე ვერასდროს უპასუხებს უარით. მოგეხსენებათ, კვირას ტურინში სწორედ ვერონის ამ გუნდმა ითამაშა და 0:1 დამარცხდა.

„თუ „იუვეს“ მართლა ვუნდივარ, უარს ვერაფრით ვეტყვი, თუმცა დღესვე გადასვლისგან ნამდვილად თავს შევიკავებდი. საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ საკუთარ თავს უნდა დავუმტკიცო, რომ ძლიერად თამაში შემიძლია. თავად უნდა გახლდეთ დარწმუნებული, რომ გამორჩენილ ვარსკვლავთა გარემოცვაში არ ჩავიკარგები. სწორედ ამიტომ მგონია, რომ „კიევოში“ კიდევ ერთი წლით დარჩენა ჩემს კარიერას, ოსტატობას თუ გამოცდილებას ძალიან წაადგება“ — თქვა სანტანამ, რომელიც დიდ ფეხბურთში მას მერე ამობრწყინდა, რაც „კიევომ“ სერია B-ს „პალერმოსგან“ ითხოვა.

საერთოდ კი, ეს ბრაზილიელი ბიჭი „ბებერ კონტინენტზე“ 2002 წელს გადმობარგდა. თავიდან ის „ვენეციაში“ მოეწყო, მაგრამ, ექვს თვეში დატოვა იქაურობა და „პალერმოში“ გადაბარგდა.



„მილანის“ ბრაზილიელი კაკა: ნუ შემადარებთ მიშელ პლატინის!

ხოლო ჯულიანო ჯანიკედა დარწმუნებულია, რომ მისი ლაციოელი თანაგუნდელი, ბერნარდო კორადი ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად უნდა წაიყვანონ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში იტალიის ნაკრების მწვრთნელი, ჯოვანი ტრაპატონი დიდ შეცდომას დაუშვებს.

ჯანიკედამ ეს სიტყვები იმიტომ თქვა, რომ ტრაპატონიმ ერთი ხნის წინ კრისტიან ვიერის სამარქაფო მოთამაშედ კორადი კი არა, „სამპდორიას“ ფორვარდი ფაბიო ბაცანი დაასახელა.

„მესმის, რომ ბაცანი „სამპდორიასთვის“ უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. ის მართლაც ძლიერი თავდამსხმელია და ვხვდები, რა თვისებების გამო მოსწონს ნაკრების თავკაცს, მაგრამ მე კორადის უფრო მაღლა ვაყენებ, მასა და კორადის შორის საქმე არჩევანზე რომ მიდგეს, მე პირადად ბერნარდოს ვამჯობინებდი, იმიტომ, რომ არასდროს მინახავს თავდამსხმელი მთელი გუნდისთვის იმდენს მუშაობდეს, რამდენსაც კორადი მუშაობს“ — განმარტა ჯანიკედამ, რომელმაც აგრეთვე სერია A-ს პირველობის დარჩენილ მონაკვეთზეც ისაუბრა:

„ჩვენ ახლა დაგვიბრუნდებიან ისეთი ოსტატები, როგორებიც არიან სეზარი, კლაუდიო ლოპესი და სიმონე ინძაგი. ეს ხალხი ჩვენს გუნდს ძალიან აკლდა. ამიერიდან თითოეული ჩვენგანი მწვრთნელის განკარგულებაში ვიქნებით და, მერწმუნეთ, „ლაციო“ სულ სხვა ფეხბურთს ითამაშებს“.

**ბაჩუნა ქედია**

# არაკაცი მატერაცი



იტალიელი მარკო მატერაცის ზღვარგადასულ უხეშობებზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა. მარტო მოედანზე რომ უხეშობდეს, რა უჭირდა, ფეხბურთელი მოედნის მიღმაც აბარი და უხიაკია.

მოკლედ, მატერაცის ცინცხალ „გმირობაზე“ მოგახსენებთ. გუშინწინ „ინტერი“ — „სიენას“ მატჩი რომ დასრულდა, გასახდელში მიმავალმა მეტოქის მცველ ბრუნო ჩირილოს ჯერ შეაგინა, მერე კი სახეში მუშტიც დაარტყა. რა მოხდა, დაზუსტებით არ ამბობენ, თვალჩალურჯებულმა ჩირილომ კი ჟურნალისტებს უთხრა: „ნახეთ, რა მიქნა მატერაციმ. ყველამ იცის, ის არაკაცია.“

მოგვიანებით „ინტერის“ ფეხბურთელმა მოიბოდიშა (ეს ძალიან კარგად ეხერხება), თუმც დასძინა, ინციდენტის წამომწყები თავად ჩირილო იყოო.

ასეა თუ ისე, ეს კონფლიქტი მოგვარდა, მაგრამ არ ცხრება „ნერო-აძურის“ პრეზიდენტი ჯაჩინტო ფაკეტი. წარსულში დიდი ფეხბურთელი ამბობს: „მტყუან-მართლის გარჩევას არ დავიწყებ და სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს. ერთი კი ვიცი, მარკო მატერაცი უმკაცრესად დაისჯება.“

დასჯის თუ არა ჩხუბისთავს იტალიის ფეხბურთის ფედერაციაც, ჯერჯერობით უცნობია. საინტერესო კი ისაა, რომ „ინტერის“ მცველს ზემოხსენებულ მატჩში ტრავმის გამო არ უთამაშია.

**გიორგი ვაშაძიძე**


სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის
(ტრუსები, მაისურები)
დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ
თქვენს მიერ კატალოგში
შერჩეული ესკიზით



ნომრები სპორტულ
მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა:
დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში



სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

# რაღა ბომბი და რაღა ეს ტიალი მაისურა

**კატალონიური** „ესპანიოლის“ (პრიმერადივიზიონის სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა, მე-19 ადგილი) მცირედი რამ შვება ანუ „ელ მადრიგალზე“ იქაური „ვილიარეალის“ დაჯაბნვა მძიმე ამბავმა დაჩრდილა — საყვარელი გუნდის გამარჯვებით გაგიჟებული ბარსელონელი ინჩასები კასტილიურ არენაზე ჭყლეტაში მოყვნენ და რამდენიმე მათგანი ჰოსპიტალში წასაყვანი შეიქნა.

საქმე ისაა, რომ როდესაც რუმინელმა ახალწვეულმა კლაუდიუ რადუჩანუმ ტაბლოზე არსებული 0:0 89-ე წუთზე სტუმრების სასარგებლოდ შეცვალა, ბუნებრივია, პირველი გოლის განსაკუთრებულად აღნიშვნა მოინდომა და იმ ტრიბუნასთან მიიჭრა, სადაც ბარსელონელთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფალანგა იყო გამაგრებული. აღმოსავლეთევროპელმა ლეგიონერმა, ბურთისგამტან მოთამაშეთა ჩვეულებისამებრ, მაისურა გადაიძრო და მოზეიმე ქომაგებს ესროლა. გამარჯვების მომტანი მაისურის დაჭერა ყველამ ერთად მოინდომა და... ტრიბუნის განაპირა იარუსმა უამრავი ხალხის მოძალებას ვერ გაუძლო, ჩამოინგრა და წამის წინ უბედნიერესი გულშემატკივრები სასტიკ ზედახორაში მოჰყვნენ. განსაკუთრებით ერთი მათგანი დაშავდა, თავის ურთულესი ტრავმა მიიღო და მისი მდგომარეობა ახლაც უკიდურესად მძიმეა. დანარჩენებსაც სხვადასხვა სახის მოტეხილობანი მრვლად აღენიშნათ. თუმც ეს ამ თამაშის ერთადერთი მწარე ეპიზოდი არ ყოფილა. ჯერ „ვილიარეალისა“ და „ესპანიოლის“ აგრესიულად განწყობილი მომხრეები ერთმანეთს დაერივნენ, ხოლო მცირე ხნის შემდეგ ჩხუბის კერას პოლიციამაც მიაკითხა, რამაც დაზარალებულთ კიდევ მოზრდილი ჯგუფი შესძინა.

**ლადო ხომერიკი**





პოლ რობინსონი და ჯერმენ დეფო თანაგუნდელები ვერ გახდნენ




„ესპანიოლის“ რუმინელის, კლაუდიუ რადუჩანუს ქომაგებისკენ ნასროლმა მაისურამ ვაიუშველებელი დაატრიალა

# მამლის ყივილი ჯერმენ დეფომ დეზებზე შეისხა

**გუშინ** დილით ბრიტანული იუწყებოდნენ, „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ ორი ძალიან კარგი ფეხბურთელი გადაიბირა — მეკარე პოლ რობინსონი „ლიდსიდან“ და თავდამსხმელი ჯერმენ დეფო „ვესტ ჰემიდან“.

პირველის ტრანსფერი თავად „ლიდსის“ თავმჯდომარემ ტრევორ ბირჩმა მოგვიანებით გააქარწყლა: მიუხედავად იმისა, რომ გვიჭირს და ვალები გვაქვს, ჩვენს ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს, მეკარე პოლ რობინსონს ვერ შეველევითო.

აი, ჯერმენ დეფო კი „მამალი“ მართლაც გახდა. „ტოტენჰემის“ პრეზიდენტ დანიელ ლევის ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდის ტრანსფერი 7 მილიონი გირვანქა ·დაუჯდა.

კვლავ რობინსონის ამბავს დავუბრუნდეთ. გუშინდელივე ინფორმაციით, „ტოტენჰემმა“ გაჭირვებულ იორკშირელებს მეკარის სანაცვლოდ ორი მილიონი გირვანქა ჩაუთვალა, თუმც ინლისში ერთ-ერთი გამორჩეული და მზარდი გოლკიპერი რომ კვლავაც ლიდსელია დარჩა, ეს უკვე იცით.

სააგენტო „როიტერი“ კი „ნიუკასლის“ ინტერესებსაც გვამცნობს: „ჯორდების“ თავკაც ბობი რობსონს თურმე ძალიან მოსწონს ნახევარმცველი „ლიდსის“ მაიკლ ბრიჯისი და ლამის გაკოტრებულად გამოცხადებულ გუნდს მის სანაცვლოდ ფულს და მცველ სტივენ კოლდუელს სთავაზობს. წუხელვე ეს ტრანსფერიც განხორციელდა.

**გიორგი ვაშაძიძე**

## აფრიკის ეროვნებათა თასი

### A ჯგუფი III ტური

**რუანდა 1:0 კონგოს დრ**

1:0 მაკასი (74)

**ტუნისი 1:1 გვინეა**

1:0 ბენაშური (58), 1:1 ტ. კამარა (84)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| გვინეა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| რუანდა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| კონგოს დრ | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

*ტუნისი და გვინეა გავიდნენ მეოთხედფინალში*

### B ჯგუფი. III ტური

**ბურკინა ფასო 0:3 კენია**

0:1 აკე (50), 0:2 ოლიეში (63), 0:3 ბარაზა (83)

გაძევება: უედრაოგო (76, ბურკინა ფასო)

**სენეგალი 1:1 მალი**

1:0 დ. ტრაორე (34), 1:1 ბეიე (45)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| სენეგალი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 5 |
| კენია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ბურკინა ფასო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

*მალი და სენეგალი გავიდნენ მეოთხედფინალში*



REUTERS ფოტოები

სენეგალი — მალი. ხალილუ ფადიგამ (№ 11) და მისმა ძმაბიჭებმა მალელებს ვერაფერი დააკლეს

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი XXII ტური

**დეპორტივო 1:0 სევილია**

1:0 ტრისტანი (29პ)

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, სესარი, რომერო, მაურო სილვა, სერხიო (დუშერი 56; სკალონი 80), ვიქტორი, ვალერონი, ტრისტანი, ლუკე (ფრანი 84)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, დანიელ ალვესი, ოსკარი, ანტონიო ლოპესი, პაბლო ალფარო, გალიარდო (სერხიო რამოსი 64), ბაპტისტა, ბეზარესი (კარლოსი 54), ორნოსი (ანტონიტო 46)

მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი

გაფრთხილება: დანიელ ალვესი, სერხიო, ოსკარი

მსაჯი: მორენო დელგადო

24 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 22 | 15 | 4 | 3 | 43:23 | 49 |
| ვალენსია | 22 | 14 | 5 | 3 | 42:16 | 47 |
| დეპორტივო | 22 | 13 | 4 | 5 | 37:17 | 43 |
| ატლეტიკო | 22 | 10 | 6 | 6 | 30:25 | 36 |
| ბარსელონა | 22 | 9 | 7 | 6 | 33:26 | 34 |
| ოსასუნა | 22 | 8 | 10 | 4 | 23:17 | 34 |
| ვილიარეალი | 22 | 9 | 6 | 7 | 28:25 | 33 |
| ბილბაო | 22 | 9 | 6 | 7 | 28:26 | 33 |
| რასინგი | 22 | 8 | 6 | 8 | 28:30 | 30 |
| სოსიედადი | 22 | 8 | 6 | 8 | 28:32 | 30 |
| ბეტისი | 22 | 7 | 8 | 7 | 28:24 | 29 |
| ვალიადოლიდი | 22 | 7 | 8 | 7 | 28:31 | 29 |
| მალიორკა | 22 | 8 | 3 | 11 | 28:39 | 27 |
| მალაგა | 22 | 8 | 2 | 12 | 27:36 | 26 |
| სევილია | 22 | 6 | 7 | 9 | 28:26 | 25 |
| ალბასეტე | 22 | 6 | 4 | 12 | 23:32 | 22 |
| სელტა | 22 | 4 | 9 | 9 | 30:40 | 21 |
| სარაგოსა | 22 | 5 | 5 | 12 | 20:32 | 20 |
| ესპანიოლი | 22 | 5 | 2 | 15 | 18:38 | 17 |
| მურსია | 22 | 2 | 10 | 10 | 20:35 | 16 |

## ბელგია

### იუპილერლიგა. XX ტური

**სენტ ტრუიდენი 1:3 ანდერლეხტი**

0:1 სეოლი (29), 0:2 კომპანი (62), 1:2 იანსენი (63), 1:3 ტიჰინენი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 20 | 18 | 1 | 1 | 52:15 | 55 |
| სტანდარდი | 20 | 12 | 5 | 3 | 39:18 | 41 |
| გენკი | 20 | 10 | 5 | 5 | 40:26 | 35 |
| მუსკრონი | 20 | 9 | 8 | 3 | 40:26 | 35 |
| ბრიუგე | 19 | 9 | 4 | 6 | 37:23 | 31 |
| ვესტერლო | 20 | 8 | 7 | 5 | 24:25 | 31 |
| სენტ ტრუიდენი | 20 | 7 | 7 | 6 | 24:27 | 28 |
| გენტი | 20 | 6 | 8 | 6 | 21:20 | 26 |
| ბევერენი | 20 | 8 | 2 | 10 | 27:31 | 26 |
| ბეერსხოტი | 20 | 6 | 7 | 7 | 18:23 | 25 |
| ლუვიე | 19 | 5 | 9 | 5 | 25:24 | 24 |
| სერკლი | 20 | 5 | 8 | 7 | 18:31 | 23 |
| ლიერსი | 20 | 4 | 10 | 6 | 21:24 | 22 |
| ლოკერენი | 20 | 4 | 6 | 10 | 22:33 | 18 |
| მონსი | 20 | 3 | 8 | 9 | 20:31 | 17 |
| ჰეუსდენი | 20 | 4 | 5 | 11 | 19:34 | 17 |
| შარლერუა | 20 | 3 | 6 | 11 | 16:26 | 15 |
| ანტვერპენი | 20 | 3 | 4 | 13 | 14:40 | 13 |

## მექსიკა

### კლაუსურა. III ტური

ხაგუარესი — გვადალახარა 2:1; მონტერეი — ტეკოსი 3:0; მორელია — ტიგრესი 1:2; სან ლუისი — უნამი 0:0; ატლასი — კრუზ ასული 0:2; ამერიკა — ვერაკრუსი 3:2; პაჩუკა — ტოლუკა 1:0; კერეტარო — ირაპუატო 1:1; ატლანტე — ნეკაქსა 3:1; სანტოს ლაგუნა — პუებლა 2:0

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XX ტური

**გიმარაეში 1:1 ბოავიშტა**

0:1 რ. სოუზა (59პ), 1:1 რ. დიასი (64)

**ალვერკა — ბეირა მარი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

**ბენფიკა — აკადემიკა**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 20 | 16 | 4 | 0 | 45:12 | 52 |
| სპორტინგი | 20 | 15 | 2 | 3 | 39:19 | 47 |
| ბენფიკა | 19 | 12 | 4 | 3 | 38:19 | 40 |
| ბრაგა | 20 | 10 | 4 | 6 | 22:25 | 34 |
| ბეირა მარი | 19 | 9 | 4 | 6 | 28:23 | 31 |
| ბოავიშტა | 20 | 8 | 7 | 5 | 19:15 | 31 |
| ნასიონალი | 20 | 9 | 3 | 8 | 33:20 | 30 |
| მარიტიმუ | 20 | 7 | 9 | 4 | 22:20 | 30 |
| რიუ ავე | 20 | 7 | 7 | 6 | 23:18 | 28 |
| მორეირენსე | 20 | 6 | 6 | 8 | 17:24 | 24 |
| ლეირია | 20 | 6 | 5 | 9 | 24:32 | 23 |
| ჟილ ვისენტე | 20 | 5 | 7 | 8 | 28:26 | 22 |
| ბელენენსეში | 20 | 4 | 8 | 8 | 25:35 | 20 |
| ალვერკა | 19 | 5 | 4 | 10 | 19:25 | 19 |
| ფერეირა | 20 | 5 | 2 | 13 | 13:31 | 17 |
| გიმარაეში | 20 | 3 | 7 | 10 | 19:27 | 16 |
| აკადემიკა | 19 | 4 | 3 | 12 | 15:25 | 15 |
| ამადორა | 20 | 3 | 2 | 15 | 14:47 | 11 |

### II ლიგა. XX ტური

პორტიმონენსე — ავეში 1:4; ფეირენსე — ეშტორილი 3:3; ნავალი — ფელგეირაში 3:3; პენაფიელი — მაია 1:1; შავეში — მარკუ 2:1; მადეირა — ოვარენსე 2:2; ლეიშოეში — სანტა კლარა 1:2; ვარზიმი — სეტუბალი 1:2. *კოვილია — სალგეიროში გადაიდო*

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ინგლისი

III დივიზიონი. XXV ტური

3 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 081 | ნორთჰემპტონი-იოვილი | 2,3 | 3,3 | 2,7 | 1,35 | 1,24 | 1,48 |

### ინგლისი

კონფერენსი. XXII ტური

3 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 097 | სკარბორო-ჰერეფორდი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |

### გერმანია

ბუნდესლიგა. XIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 თებერვალი | | | | | | | | |
| 18.30 | 014 | შალკე-მიუნხენი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 015 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 18.30 | 016 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 017 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 18.30 | 018 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 18.30 | 019 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 020 | ლევერკუზენი-აინტრახტი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 021 | ჰანზა-ფრაიბურგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 8 თებერვალი | | | | | | | | |
| 20.30 | 022 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 023 | ბაიერნი-ჰანოვერი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 20.30 | 024 | ჰერტა-შტუტგარტი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |

### ესპანეთი

I დივიზიონი. XXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 თებერვალი | | | | | | | | |
| 22.30 | 038 | ვალენსია-ატლეტიკო | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 00.30 | 039 | რეალი-მალაგა | 1,22 | 5,0 | 11,0 | 1 | 1,09 | 3,43 |
| | 040 | რეალი-მალაგა 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 | | | |
| 8 თებერვალი | | | | | | | | |
| 20.00 | 041 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 20.00 | 042 | ალბასეტე-დეპორტივო | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 20.00 | 043 | სევილია-მალიორკა | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 20.00 | 044 | ბილბაო-მურსია | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 20.00 | 045 | რასინგი-ბეტისი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 20.00 | 046 | სელტა-ვილიარეალი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.00 | 047 | ოსასუნა-ბარსელონა | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 24.00 | 048 | სარაგოსა-სოსიედადი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |

### საფრანგეთი

I დივიზიონი. XVIII ტური

4 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 190 | მონპელიე-მარსელი | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |

### პორტუგალია

სუპერლიგა. XX ტური

3 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.15 | 217 | ბენფიკა-აკადემიკა | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| | 218 | ბენფიკა-აკადემიკა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |

### ჰოლანდია

II დივიზიონი. XXI ტური

3 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 254 | ვენლო-ოსი | 1,7 | 3,5 | 4,0 | 1,14 | 1,19 | 1,86 |

### ინგლისი

თასი. IV ეტაპი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 თებერვალი | | | | | | | | |
| 23.45 | 339 | კოლჩესტერი-კოვენტრი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 4 თებერვალი | | | | | | | | |
| 23.45 | 340 | ფულემი-ევერტონი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 23.45 | 341 | ტელფორდი-მილუოლი | 5,0 | 3,5 | 1,6 | 2,05 | 1,21 | 1,09 |
| 23.45 | 342 | ტოტენჰემი-სიტი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |

### ინგლისი

ლიგის თასი

1/2 ფინალი. II მატჩები

3 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 343 | მიდლსბრო-არსენალი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |

### შოტლანდია

ლიგის თასი. 1/2 ფინალი (ნეიტრ.)

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 თებერვალი | | | | | | | | |
| 23.45 | 351 | დანდი-ლივინგსტონი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 5 თებერვალი | | | | | | | | |
| 24.00 | 352 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |

### გერმანია

თასი. 1/4 ფინალი

3 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 353 | მიონხენგლადბახი-დუისბურგი | 1,6 | 3,4 | 5,3 | 1,08 | 1,22 | 2,07 |
| 23.30 | 354 | ჰოფენჰაიმი-ლიუბეკი | 2,8 | 3,3 | 2,25 | 1,51 | 1,24 | 1,33 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 355 | ფიურტი-ვერდერი | 4,4 | 3,4 | 1,7 | 1,91 | 1,22 | 1,13 |

**4 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 356 | ალემანია-ბაიერნი | 5,0 | 3,5 | 1,6 | 2,05 | 1,21 | 1,09 |

### იტალია
**თასი. 1/2 ფინალი**

**I მატჩები**

**4 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 357 | იუვენტუსი-ინტერი | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |

**5 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 358 | მილანი-ლაციო | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |

### ესპანეთი
**თასი. 1/2 ფინალი**

**I მატჩები**

**4 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 359 | რეალი-სევილია | 1,25 | 4,8 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,24 |

**5 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 360 | ალავესი-სარაგოსა | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |

### საფრანგეთი
**ლიგის თასი. 1/2 ფინალი**

**3 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 361 | ნანტი-ოსერი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |

**4 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 362 | სტ.ეტიენი-სოშო | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |

### ჰოლანდია
**თასი. 1/4 ფინალი**

**3 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 363 | სპარტა-ნაიმეგენი | 2,7 | 3,4 | 2,25 | 1,5 | 1,22 | 1,35 |

**4 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 364 | პსვ-ბრედა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 23.00 | 365 | უტრეხტი-ჰერაკლესი | 1,25 | 5,3 | 8,0 | 1,01 | 1,08 | 3,18 |
| 23.30 | 366 | ტვენტე-ფეიენოორდი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |

### ბელგია
**თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები**

**3 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 367 | ბრიუგე-ლუვეე | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |

**4 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 368 | სერკლი-მუსკრონი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 23.30 | 369 | ბევერენი-ბეერსხოტი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| 23.30 | 370 | ანდერლეხტი-ჰეუსდენი | 1,15 | 6,0 | 12,5 | 1 | 1,05 | 4,05 |

### ლიბერტადორესის თასი
**3 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 371 | ლიბერტადი-ტოლიმა | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 04.15 | 372 | კოლო კოლო-დეპორტივო კალი | 1,6 | 3,4 | 4,8 | 1,08 | 1,2 | 1,99 |
| 06.30 | 373 | სანტოსი(მქ)-კონსეპსიონი | 1,5 | 3,5 | 5,6 | 1,04 | 1,18 | 2,15 |

**4 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 374 | გუარანი-ბარსელონა | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 03.45 | 375 | კრუზეირო-კარაკასი | 1,1 | 6,0 | 12,5 | 1 | 1,01 | 4,05 |

**5 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.30 | 376 | სან კაეტანო-სტრონგესტი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |
| 01.30 | 377 | ვილსტერმანი-სანტოსი(ბრ.) | 3,6 | 3,2 | 1,8 | 1,69 | 1,19 | 1,15 |
| 03.45 | 378 | ოლიმპია-როსარიო | 2,0 | 3,1 | 3,3 | 1,21 | 1,24 | 1,59 |

### აფრიკის თასი
**3 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 379 | ალჟირი-ზიმბაბვე | 1,45 | 3,4 | 7,0 | 1,01 | 1,2 | 2,28 |
| 17.00 | 380 | კამერუნი-ეგვიპტე | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,13 | 1,24 | 1,74 |

### ჰოკეი. NHL
**3 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 1001 | ბოსტონი-ატლანტა | 1,8 | 3,6 | 3,2 | 1,19 | 1,15 | 1,69 |
| 04.00 | 1002 | აილენდერსი-ვანკუვერი | 2,4 | 3,6 | 2,25 | 1,44 | 1,16 | 1,38 |
| 04.00 | 1003 | ვაშინგტონი-ტამპა ბეი | 2,45 | 3,6 | 2,2 | 1,45 | 1,15 | 1,36 |
| 04.30 | 1004 | ნიუ ჯერსი-ოტავა | 2,15 | 3,6 | 2,5 | 1,34 | 1,15 | 1,47 |
| 04.30 | 1005 | პიტსბურგი-მონრეალი | 3,3 | 3,5 | 1,8 | 1,69 | 1,16 | 1,18 |
| 04.30 | 1006 | ტორონტო-ჩიკაგო | 1,55 | 3,8 | 4,4 | 1,1 | 1,14 | 2,03 |
| 05.00 | 1007 | ნეშვილი-დეტროიტი | 2,4 | 3,6 | 2,25 | 1,44 | 1,16 | 1,38 |
| 06.00 | 1008 | კალგარი-ლოს ანჯელესი | 2,15 | 3,5 | 2,6 | 1,33 | 1,17 | 1,49 |
| 06.00 | 1009 | კოლორადო-კაროლინა | 1,5 | 4,0 | 4,6 | 1,09 | 1,13 | 2,13 |
| 07.30 | 1010 | სან ხოსე-ფლორიდა | 1,7 | 3,6 | 3,6 | 1,15 | 1,15 | 1,8 |

### კალათბურთი. NBA
**3 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 1158 | ფილადელფია-ტორონტო | 1,4 | 10,0 | 2,4 | 1,22 | 1 | 1,93 |
| 04.30 | 1159 | დეტროიტი-კლივლენდი | 1,12 | 10,0 | 4,4 | 1 | 1 | 3,05 |
| 04.30 | 1160 | ნიუ იორკი-ინდიანა | 1,95 | 10,0 | 1,65 | 1,63 | 1 | 1,41 |
| 05.00 | 1161 | მინესოტა-ორლანდო | 1,1 | 10,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 05.30 | 1162 | დალასი-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 10,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 07.00 | 1163 | საკრამენტო-სიეტლი | 1,12 | 10,0 | 4,4 | 1 | 1 | 3,05 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.02 19.00 | 6001 | ინგლისი პლ (XXIV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 07.02 18.30 | 6002 | გერმანია ბლ (XIX) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 07.02 21.00 | 6003 | იტალია A (XX) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 07.02 22.30 | 6004 | ესპანეთი Iდ (XXIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 06.02 24.00 | 6005 | საფრანგეთი Iდ (XXIII) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 06.02 01.30 | 6006 | პორტუგალია სლ (XXI) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| 07.02 21.00 | 6007 | ბელგია Iდ (XXI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონები და თასის აღება

**9001**
**ინგლისი (07.02)**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1,9 |
| არსენალი | 1,9 |
| ჩელსი | 5,0 |

**9002**
**გერმანია (07.02)**

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,6 |
| ვერდერი | 2,8 |
| შტუტგარტი | 5,0 |
| ლევერკუზენი | 7,0 |

**9003**
**იტალია (07.02)**

| | |
|---|---|
| მილანი | 1,55 |
| იუვენტუსი | 3,4 |
| რომა | 4.4 |

**9004**
**ესპანეთი (07.02)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,3 |
| ვალენსია | 3,8 |
| დეპორტივო | 7,5 |

**9005**
**საფრანგეთი (07.02)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,3 |
| ლიონი | 3,8 |
| პსჟ | 12,0 |

**9006**
**პორტუგალია (07.02)**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,08 |
| სპორტინგი | 5,0 |
| ბენფიკა | 15,0 |

**9007**
**ჰოლანდია (08.02)**

| | |
|---|---|
| აიაქსი | 1,35 |
| პსვ | 2,5 |

**9008**
**ავსტრია (21.02)**

| | |
|---|---|
| ავსტრია | 1,35 |
| რაპიდი | 4,0 |
| გრაცერი | 5,0 |

**9009**
**დანია (14.03)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 1,3 |
| ესბიერგი | 4,0 |
| კოპენჰაგენი | 5,0 |

**9010**
**საბერძნეთი (08.02)**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1,6 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| პაოკ | 6,0 |

**9011**
**უკრაინა (15.02)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,55 |
| დინამო | 1,95 |

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**

**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**

| | |
|---|---|
| ინგლისი | 1,8 |
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 2,9 |
| გერმანია | 9,3 |
| საფრანგეთი | 13,6 |

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**

| | |
|---|---|
| რეალი | 4,0 |
| მანჩესტერი | 4,6 |
| იუვენტუსი | 5,0 |
| მილანი | 5,0 |
| ჩელსი | 6,0 |
| არსენალი | 6,0 |
| ბაიერნი | 15,0 |
| დეპორტივო | 20,0 |
| შტუტგარტი | 25,0 |
| მონაკო | 25,0 |
| ლიონი | 30,0 |
| პორტუ | 40,0 |
| სოსიედადი | 40,0 |
| სელტა | 50,0 |
| ლოკომოტივი | 100,0 |
| სპარტა | 150,0 |

**9022**
**უეფას თასი (26.02)**

| | |
|---|---|
| რომა | 5,6 |
| ვალენსია | 6,0 |
| ბარსელონა | 6,0 |
| ინტერი | 6,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ნიუკასლი | 8,0 |
| პარმა | 10,0 |
| სელტიკი | 12,0 |
| მარსელი | 15,0 |
| ბორდო | 25,0 |
| მალიორკა | 25,0 |
| პსვ | 25,0 |
| ოსერი | 25,0 |
| გალათასარაი | 30,0 |
| ბრიუგე | 30,0 |
| პერუჯა | 30,0 |
| ბენფიკა | 30,0 |
| ვილიარეალი | 30,0 |
| ბეშიქთაში | 30,0 |
| სოშო | 40,0 |
| პანათინაიკოსი | 40,0 |
| რუსენბორგი | 50,0 |
| სპარტაკი | 60,0 |
| გენჩლერბირლ. | 60,0 |
| ბრიონდბიუ | 60,0 |
| გაზიანთეფი | 100,0 |
| გროცლინი | 100,0 |
| ტეპლიცე | 100,0 |
| დნიპრო | 100,0 |
| ლევსკი | 150,0 |
| დებრეცენი | 250,0 |
| ვოლერენგა | 250,0 |

**9031**
**NHL (05.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4,5 |
| დეტროიტი | 5,0 |
| ფილადელფია | 5,5 |
| ვანკუვერი | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 6,5 |
| ოტავა | 7,0 |
| ტორონტო | 7,5 |
| სტ.ლუისი | 10,0 |
| დალასი | 12,0 |
| ტამპა ბეი | 20,0 |
| ბოსტონი | 20,0 |
| ლოს ანჯელესი | 20,0 |
| სან ხოსე | 25,0 |
| რეინჯერსი | 25,0 |
| ატლანტა | 30,0 |
| კალგარი | 30,0 |
| ანაჰაიმი | 35,0 |
| მინესოტა | 35,0 |
| აილენდერსი | 40,0 |
| მონრეალი | 50,0 |
| ედმონტონი | 60,0 |
| ფინიქსი | 60,0 |
| კაროლინა | 75,0 |
| ჩიკაგო | 75,0 |
| ნეშვილი | 75,0 |
| ბუფალო | 100,0 |
| ფლორიდა | 100,0 |
| კოლამბუსი | 125,0 |
| პიტსბურგი | 125,0 |
| ვაშინგტონი | 125,0 |

**9032**
**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1,65 |
| საკრამენტო | 4,5 |
| სან ანტონიო | 5,0 |
| დალასი | 8,0 |
| ინდიანა | 10,0 |
| დეტროიტი | 12,0 |
| მინესოტა | 12,0 |
| ნიუ ჯერსი | 15,0 |
| ნიუ ორლეანი | 25,0 |
| ფილადელფია | 40,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ბოსტონი | 60,0 |
| დენვერი | 60,0 |
| ნიუ იორკი | 60,0 |
| პორტლენდი | 60,0 |
| ტორონტო | 60,0 |
| სიეტლი | 75,0 |
| იუტა | 75,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| გოლდენ სტ. | 100,0 |
| მემფისი | 100,0 |
| ფინიქსი | 100,0 |
| კლიპერსი | 150,0 |
| ორლანდო | 150,0 |
| მაიამი | 200,0 |
| ატლანტა | 250,0 |
| ვაშინგტონი | 250,0 |
| ჩიკაგო | 250,0 |
| კლივლენდი | 300,0 |


ეროვნული ბიბლიოთეკა



სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO
BOOKMAKERS

**კროკო**


**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| **თბილისი** | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| **ქუთაისი** | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| **გორი** | სტალინის ქუჩა №14 | |
| **თელავი** | კოსტავას ქუჩა №23 | |
| **ხელვაჩაური** | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| **მარნეული** | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| **ოზურგეთი** | გურიის ქუჩა №23 | |
| **გურჯაანი** | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| **ფოთი** | რკალი, რუსთაველის №18 | |
| **საგარეჯო** | დავით ალმაშენებლის №30 | |
| **სამტრედია** | რუსთაველის გამზირი №27 | |
| **ხაშური** | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| **წნორი** | სტალინის ქუჩა №1 | |
| **ბორჯომი** | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| **ზესტაფონი** | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| **ახალციხე** | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| **რუსთავი** | შარტავას ქუჩა №7 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფედერალური დაგეგმარება

## კალათბურთის ფედერაცია გასაკეთებელ საქმეს გვიჩვენებს

**საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში ალბათ აქამდეც დგებოდა მომავალი წლის სამოქმედო გეგმა, მაგრამ ეს ამბავი ჟურნალისტებისთვის საგნგებოდ არ უცნობებიათ. ხელმძღვანელობაში მოსვლიდან ორი წლის თავზე პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანის გუნდმა კარგი სიახლე დანერგა – მომავალი წლის სამუშაო გეგმა საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე გამოამზეურა. გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" „ფედერალებმა" ჟურნალისტებს ის პროექტები გაგვაცნეს, რომელთა განხორციელებასაც 2004 წელს აპირებენ**

ფედერაციის ხელმძღვანელობა ნამატით წარსდგა ჟურნალისტების წინაშე — ახლახან ვიცე-პრეზიდენტად დანიშნულ ლაშა ძიძავასთან ერთად პრესკონფერენციას წარუძღვნენ მეორე ვიცე-პრეზიდენტი მამუკა კაციტაძე, გენერალური მდივანი ზურაბ რატიშვილი და, რა თქმა უნდა, ქართული კალათბურთის გამგებელი, ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი.

მასპინძლები პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ, ლაშა ძიძავას მიერ ჩამოთვლილ პროექტებს თანმიმდევრობით, თეზის-თეზის მოგაწვდით. მაშ ასე, აი, ეს ღონისძიებები იგეგმება 2004 წელს...

მინი-კალათბურთის ფესტივალი 1992 წელს დაბადებულთა შორის, რომელშიც 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ტურნირი 29 მარტიდან 4 აპრილამდე გაიმართება ვერის ბაღში...

მინი-კალათბურთის ფესტივალი 1993 წელს დაბადებულთა შორის, რომელიც ასევე ვერის ბაღში გაიმართება 30 მაისიდან 4 ივნისამდე 6 გუნდს შორის...

ექვსგუნდა ტურნირი 1992 წელს დაბადებულთა შორის, რომელსაც 27-30 სექტემბერს ბათუმი უმასპინძლებს...

1992-წლიანთა საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც 15-20 ივნისს თბილისი უმასპინძლებს...

ზემოთ ჩამოთვლილი ტურნირები მინი-კალათბურთისა იყო. ამათ გარდა, ფედერაცია კიდევ არაერთი საბავშვო ტურნირის მოწყობას გეგმავს. უახლოესი 5-8 თებერვალს გაიმართება, 1990-წლიანები „სნიკერსის თასს" გაითამაშებენ.

დაგეგმილია ასევე ზურაბ საკანდელიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის გამართვა 1988-წლიანებს შორის, ხოლო დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს რესპუბლიკის მოედანზე მოზარდები „სთრითბოლს" გააჩაღებენ.

მოეწყობა საჩვენებელი წვრთნები ახალგაზრდებისთვის, რომელსაც წარსულში ცნობილი კალათბურთელები და მოქმედი, მათ შორის ლეგიონერებიც გაუძღვებიან.

— 29 მაისს მოეწყობა ეგრედ წოდებული „ყველა ვარსკვლავის" მატჩი, რომლის მონაწილეებსაც ჟურნალისტები შეარჩევენ...

ფედერაციის კალენდარში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალთა კალათბურთს. თასის გათამაშებასთან ერთად იგეგმება ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბება, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ამის შესახებ საქართველოს ფედერაციამ უკვე გააკეთა განაცხადი ფიბა-ევროპაში.

მედიასთან ურთიერთობასაც დიდ ყურადღებასა და მნიშვნელობას ანიჭებს ფედერაცია. გაიმართება ეროვნული ჩემპიონატის ყველა ცენტრალური შეხვედრის წინასამატჩო პრესკონფერენცია, თამაშების ჩვენების ექსკლუზიური უფლება კი ტელეკომპანია „იმედს" არგუნეს. წინგადადგმული ნაბიჯია მოედანზე იმ ადგილების გამოყოფა, სადაც ჟურნალისტები უპრობლემოდ დაელაპარაკებიან მატჩის ნებისმიერ მონაწილეს, მათ შორის მსაჯებსაც.

ფედერაციამ ოფიციალური შეთანხმება გააფორმა თითქმის ყველა წამყვან საინფორმაციო საშუალებასთან, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს, ფედერაციის ეგიდით გამართული უკლებლივ ყველა ღონისძიება გააშუქონ. „ფედერალები" ეძებენ გენერალურ სპონსორსაც, მაგრამ ჯერჯერობით მათ მხოლოდ პარტნიორები ჰყავთ კაფე „მსოფლიო სპორტისა" და ტელეკომპანია „იმედის" სახით.

უახლოეს მომავალში ჩემპიონატში აღარ დაიშვებიან კლუბები, რომლებსაც საკუთარი საკალათბურთო სკოლა არ ექნებათ. მოწესრიგდება მოთამაშეებისა და მწვრთნელების კლუბთან კონტრაქტით დაკავშირების მექანიზმი.

ეს ყველაფერი, როგორც გითხარით, ლაშა ძიძავამ გვამცნო, შემდეგ კი ბესიკ ლიპარტელიანმა ეროვნულ ნაკრებზე ილაპარაკა...

„როგორც იცით, ეროვნულ გუნდს წლეულს სამი მატჩი ელის ევროსაკვალიფიკაციო ეტაპზე. ნაკრები სათანადო მომზადებას გაივლის, პირველი შეკრება თბილისში ივლისში იგეგმება. ეს თავად ლეგიონერებმა გვთხოვეს, ჯერ საქართველოში შევიკრიბოთო. ნბა-ელების ჩამოსვლის პრობლემა აღარ არსებობს იმდენად, რამდენადაც თავად ისინი არ არიან წინააღმდეგნი. გუშინ ველაპარაკე სტეფანიასა და ცქიტიშვილს, ისინი მზად არიან, ივლისისთვის თბილისში ჩამოვიდნენ. რაც შეეხება ფაჩულიას, მან ტელეფონი გამოცვალა და ამ დღეებში არ მილაპარაკია, მაგრამ არც ის იქნება წინააღმდეგი. ახლა იმ კომპანიას ვეძებთ, რომელშიც ნბა-ში მოთამაშე კალათბურთელებს დავაზღვევთ და ამას რომ მოვახერხებთ, შემადგენლობასთან დაკავშირებული პრობლემებიც საბოლოოდ მოგვარდება."

ბოლოს ვიცე-პრეზიდენტმა მამუკა კაციტაძემაც ითხოვა სიტყვა და ჭაბუკთა ნაკრების პერსპექტივებზე ისაუბრა. კაციტაძე ჭაბუკებს ხორვატიაშ მიჰყვება, სადაც ქართველები ჯერ შეკრებას გაივლიან, მერე კი 1-5 აპრილს ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირზე ითამაშებენ. საქართველოს მეტოქეები იქნებიან საფრანგეთის, იტალიის, ხორვატიის, ლატვიისა და ფინეთის გუნდები, საიდანაც სამი საუკეთესო გავა ფინალურ ეტაპზე.

**ირაკლი პერტაია**



ბესიკ ლიპარტელიანი

# ქართველები ევროპაშიც დაჯდნენ

**ევროპაში** მობურთალი ქართველებიდან წინა კვირაში მხოლოდ ვლადიმერ ბოისამ ითამაშა. თუ მანუჩარ მარკოიშვილისა და გიორგი ცინცაძის გუნდები ისვენებდნენ, დიჟონელი ვახტანგ ნაცვლიშვილი ტრაგიკული ამბის გამო არ გასულა მოედანზე, საქართველოს ნაკრების კაპიტანს დედა გარდაეცვალა და თბილისში მოუწია ჩამოსვლა. არ უთამაშია ვიქტორ სანიკიძესაც, „დიჟონმა" კი საფრანგეთის მორიგ ტურში სტუმრად აუტსაიდერი „ბეზანსონი" დაამარცხა.

ის ერთადერთი, ვლადიმერ ბოისაც ვერ დაიტრაბახებს კარგი თამაშით. მისი „ოლიმპია" ჯერ ევროლიგაში „ბარსელონასთან" შერცხვა, შემდეგ კი ადრიატიკის ლიგაშიც დამარცხდა სერბულ „რეფლექსთან". ოლიმპიელთა კაპიტანმა კატალონიელებთან ოდენ 2 ქულა მოინაგრა და ვერც სერბებთან დაგროვილი 8 ქულაა საპატიო შენაძენი.

ეს ევროპაში, ოკეანგაღმა კი ძველი დროება უდგათ ქართველებს. ანუ ისინი უმეტესწილად სკამიდან უცქერენ თანაგუნდელებს და ორიოდ წუთით თუ უწევთ მოედანზე ყოფნა.

თვალში საცემია „პორტლენდისა" და „დენვერის" მიერ გასულ კვირაში მოხვეჭილი გამარჯვებები, მაგრამ ჩვენებურები უქმობდნენ და ჯობს, მათი ამბის მოყოლა აქვე შევწყვიტოთ...

## ქართული ლეგიონი გასულ კვირაში

| | გუნდი | მეტოქე | ტურნირი | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | წ/ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ბარსელონა | ევროლიგა | ს | 72:92 | 22 | 2 | 0 | 0 | 27/12,4 |
| | | რეფლექსი | ადრიატიკის ლიგა | ს | 69:91 | 20 | 8 | 3 | 2 | 28,4/9 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | ბეზანსონი | საფრანგეთის ჩემპ. | ს | 103:90 | არ უთამაშია | | | | 27,2/13,6 |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | ბეზანსონი | საფრანგეთის ჩემპ. | ს | 103:90 | არ უთამაშია | | | | 5/2,7 |
| ზაზა ფაჩულია | ორლანდო | კლიპერსი | NBA რეგულარ. ჩ. | შ | 106:115 | 7 | 0 | 7 | 0 | — |
| | | ნიუ ჯერსი | NBA რეგულარ. ჩ. | შ | 79:89 | 4 | 1 | 1 | 0 | — |
| | | ვაშინგტონი | NBA რეგულარ. ჩ. | ს | 104:100 | არ უთამაშია | | | | — |
| | | კლივლენდი | NBA რეგულარ. ჩ. | ს | 98:99 | 9 | 3 | 5 | 0 | 10,5/3,1 |
| ვლადიმერ სტეფანია | პორტლენდი | ჩიკაგო | NBA რეგულარ. ჩ. | შ | 102:95 | 8 | 9 | 3 | 0 | — |
| | | მემფისი | NBA რეგულარ. ჩ. | შ | 88:76 | 7 | 0 | 2 | 0 | 10,7/2,7 |
| ნიკა ცქიტიშვილი | დენვერი | ჩიკაგო | NBA რეგულარ. ჩ. | შ | 115:99 | 5 | 6 | 1 | 1 | — |
| | | მინესოტა | NBA რეგულარ. ჩ. | შ | 95:97 | არ უთამაშია | | | | — |
| | | დალასი | NBA რეგულარ. ჩ. | ს | 107:102 | არ უთამაშია | | | | 8,1/2,9 |

**შენიშვნა**: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი;
წ/ქ — ტურნირის მატჩებში საშუალოდ ნათამაშები წუთები და მოგროვილი ქულები; ს — სტუმრად; შ — შინ

## რეგულარული ჩემპიონატი

1 თებერვალი

**ტორონტო 83:84 ლეიკერსი**

ტორონტო: კარტერი (27), მარშალი (18 ქულა, 13 მოხსნა)

ლეიკერსი: ონილი (36), პეიტონი (14)

**ვაშინგტონი 100:104 კლივლენდი**

ვაშინტონი: ჰეიესი (20), ბლეიკი (15)

კლივლენდი: ჯეიმსი (38), ბუზერი (21 ქულა, 14 მოხსნა)

**მინესოტა 106:101 ფილადელფია**

მინესოტა: გარნეტი (32 ქულა, 13 მოხსნა), კასელი (29)

ფილადელფია: აივერსონი (28), ტომასი (16 ქულა, 14 მოხსნა)



REUTERS

კლივლენდელმა ლებრონ ჯეიმსმა „ვაშინგტონს" 38 ქულა ჩაუგდო და კარიერის რეკორდი დაამყარა

## ჭიდაობა

**დღეს-ხვალ დილმის საჭიდაო კომპლექსში ბერძენ-რომაელთა საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. ორდღიანი ტურნირის ძირითადი დანიშნულება ნაკრების დაკომპლექტებაა. განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლები კი ოლიმპიური საგზურების გარეშე დარჩენილ სამ წონაშია მოსალოდნელი. ირაკლი ჭოჭუას (55 კგ), ბადრი ხასაიასა (74 კგ) და მირიან გიორგაძეს (მძიმე) გუნდში ადგილის შესანარჩუნებლად ძირითად კონკურენტებთან მძიმე ბრძოლები ელით. დღეს, დილის თერთმეტიდან, შვიდივე წონის ჯგუფური და მისი შემდგომი რამდენიმე ეტაპის შეხვედრები გაიმართება. ხვალისთვის კი სავარაუდოდ ნახევარფინალებსა და ფინალებს მოიტოვებენ**

# ათენის გზა დილმის კომპლექსიდან იწყება

საქართველოს ჩემპიონატზე და ნაკრების სამომავლო გეგმებზე გავესაუბრეთ მთავარ მწვრთნელ ბეგი დარჩიას



— მსოფლიოს ჩემპიონი შემადგენლობიდან ვინ იჭიდავებს საქართველოს პირველობაზე?

— ხალიჩაზე უკვე ლიცენზიამოპოვებულთა გარდა, ნაკრების ყველა წევრი და კანდიდატი გავა. ჩაჩუას, კვირკველიას, ვახტანგაძესა და ნოზაძეს კი ამჯერად დასვენების საშუალებას მივცემთ.

— დარჩენილ სამ წონაში სალიცენზიო ტურნირებში წამსვლელთა ვინაობას საქართველ-ოს ჩემპიონატი ხომ არ გაარკვევს?

— პირველი საერთაშორისო შეჯიბრი 28-29 თებერვალს სერბეთში გაიმართება და მასზე საქართველოს პირველობის გამარჯვებულებს წავიყვანთ. ასე რომ, სამი საგზურისთვის ბრძოლა შინაური ტურნირის მოგებით უნდა დაიწყოს.

— სერბეთამდე თურქული ტურნირია. მასზე არ აპირებთ გუნდის წაყვანას?

— სტამბოლში 7-8 თებერვალს საერთაშორისო ტურნირი კი ტარდება, მაგრამ ლიცენზიები არ გაიცემა. ამიტომ მასზე ათენის საგზურგანაღდებულებს, ვახტანგაძესა და ნოზაძეს წავიყვანთ. სავიზო პრობლემები უკვე მოვუგვარეთ მძიმეწონოსან მირიან გიორგაძესაც. ბილეთიც დაჯავშნულია, თუმცა შესაძლოა თურქეთში უმისოდაც გავფრინდეთ. ეს საქართველოს ჩემპიონატის მიმდინარეობაზე იქნება დამოკიდებული. თუკი მირიანი ძირითად კონკურენტებს დროზე შეხვდება და მოუგებს, შეიძლება მედლისთვის ბრძოლა აღარც გააგრძელოს.

— ჩაჩუა და კვირკველია სათურქეთო განაცხადში რატომ ვერ მოხვდნენ?

— მათ მცირე ტრავმები ჰქონდათ და გადავწყვიტეთ, დაგვესვენებინა. ამჟამად სარეაბილიტაციო პერიოდს ბაკურიანში გადიან თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეკრებაზე.

— ბერძენ-რომაელები როდის აპირებთ სრული ნაკრების შეკრებას?

— თურქეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ყველა წევრს ვუხმობთ და 11 თებერვლიდან ბორჯომში გავემგზავრებით.

— ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ კალენდარში აპრილში თურქეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატი თუ გაქვს შეტანილი?

— არა მგონია, ძირითადი ნაკრებიდან იქ ვინმე წავიდეს. ალბათ ევროპას ახალგაზრდულ ნაკრებს ან მეორე ნომრებს დავუთმობთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## ჭადრაკი

# კრამნიკი ლეკოს ფიგურებს შემოდგომით დაითვლის

**ბოლო** წლებში საჭადრაკო სამყაროში შექმნილი დარდუბალა დასასრულს მიუახლოვდა. ორი წლის წინ ფიდე მასზე განაწყენებულ დიდოსტატებს შეხვდა, შერიგებისკენ მოუწოდა და შესთავაზა, რომ მსოფლიოს ერთი ნამდვილი ჩემპიონი ჰყოლოდა.

გეხსომებათ, რუსი გარი კასპაროვი ფიდეს რომ გაებუტა, დამოუკიდებლად მსოფლიოს პირველობა მოაწყო და ჩემპიონი რუსი ვლადიმერ კრამნიკი გახდა. უქმად არც ფიდე იყო და საკუთარი ვერსიით მსოფლიოს ოქრო უკრაინელ ყმაწვილ რუსლან პონომარიოვს უბოძა.

ორი წლის წინ „შერიგებულმა“ მხარეებმა გადაწყვიტეს, რომ გაემართათ ეგრეთ წოდებული „გამაერთიანებელი მატჩი“, რომელიც ნახევარფინალიდან დაიწყებოდა კასპაროვ—პონომარიოვისა და უნგრელ პიტერ ლეკო—კრამნიკის წყვილებით. მათ შორის გამარჯვებულები კი ფინალში გაარკვევდნენ უძლიერესს.

ლეკო—კრამნიკის თამაშის ორგანიზება კომპანია „ეინშტეინ გრუპმა“ ითავა, თუმც ხან ფინანსური და ხანაც სხვა მიზეზებით მათ შეხვედრას საშველი არ დაადგა.



ვლადიმირ კრამნიკი

წყვილმაც უმოქმედო ფირმასთან კონტრაქტი გაწყვიტა და ახალი სპონსორი გამონახა შვეიცარიული თამბაქოს მწარმოებელი კორპორაცია „CENTRO DANNEMANN“. ახალმა სპონსორმა მატჩის ჩატარების ყველა უფლება მიიღო. შეხვედრა შვეიცარიის ქალაქ ბრისაგოში 25 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე გაიმართება.

„ლეკო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო და გამოცდილი მოჭადრაკეა, მაგრამ ყველაფერი შემოდგომაზე გამოჩნდება. მე წარმატებისათვის ძალებს არ დავზოგავ და ბოლომდე ვიბრძოლებ“ — განაცხადა კრამნიკმა.

რაც შეეხება მეორე, კასპაროვ-პონომარიოვის მატჩს, მის ჩატარებაზე ყველაზე მეტად ფიდე აქტიურობდა, თუმცა არაფერი გამოუვიდა და ჩაიშალა. სავარაუდოდ მეორე და უკვე ახალ სანახევარფინალო მატჩში კვლავ კასპაროვი ითამაშებს, მეტოქედ კი ფიდეს 2004 წლის ჩემპიონი ეყოლება.

**ლაშა გეგეჭკორი**

## წყალბურთი

# ჩომახიძე მესამე ოლიმპიადაზეც გაიტანს

**ხორვატიაში** მოთამაშე რუსეთის წყალბურთელთა ნაკრების წევრი, ქართველი რევაზ ჩომახიძე ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც გამოჩნდება.

ეს ცნობილი გახდა რიო დე ჟანეიროში გამართულ საკვალიფიკაციო ოლიმპიურ ტურნირში, რომელშიც არგენტინის, ბრაზილიის, რუსეთის, სლოვაკეთისა და ჰოლანდიის გუნდები მონაწილეობენ. ამათგან ოლიმპიურ ლიცენზიებს პირველ სამ ადგილზე გასული გუნდები იღებდნენ. რიო დე ჟანეიროში ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ხორვატიისა და გერმანიის გუნდები, რაც პირველთა გამარჯვებით დასრულდა — 6:1, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი რუსეთმა რუმინეთს მოუგო — 8:4.

ამგვარად, ჩომახიძე ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიადების შემდეგ, საიდანაც იგი ვერცხლის მედლებით, ბომბარდირად და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო წყალბურთელად შერაცხული დაბრუნდა, ათენში მესამედ დაიცავს რუსეთის წყალბურთელთა პრესტიჟს.



## ოლიმპიზმი

# ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს

**ეტყობა,** შიშს მართლაც დიდი თვალები აქვს — თბილისში, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში საბერძნეთის ელჩისა და სამხედრო ატაშეს სტუმრობას მოსკოვში ამავე ქვეყნის საზოგადოებრივი წესრიგის მინისტრის გეორგის ფლორიდისის სამდღიანი ვიზიტი მოჰყვა, რომელსაც თან ახლავს პოლიციის უფროსი, საიდუმლო სამსახურის შეფი და ათენში ოლიმპიური თამაშების უშიშროებაზე პასუხისმგებელი დირექტორი.

ისინი მოსკოვში შეხვდებიან რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელობას. თუ რაზე ილაპარაკებენ ისინი, ალბათ ესეც საიდუმლოდ დარჩება ისევე, როგორც თბილისურ შეხვედრაზე. თუმცა ნათელია, რომ საუბარი ათენის ოლიმპიური თამაშების უშიშროებას და სავარაუდო ტერაქტებს შეეხება.

სხვათა შორის, მოსკოვში ჩასული სტუმრები რუსეთის დედაქალქს იმავე შემადგენლობით აშშ-ს გავლით ეწვივნენ, სადაც იქაურ ძალოვნებთან ჰქონდათ შეხვედრა.

შეგახსენებთ, რომ ათენის ოლიმპიური თამაშების უშიშროებისთვის თითქმის 700 მილიონი ევრო დაიხარჯება, რაც ოლიმპიური თამაშების მთელს ისტორიაში ამგვარი მიზნებისთვის გამოყოფილი რეკორდული თანხაა.

ათენის მერი დორა ბაკოიანისი ირწმუნება, რომ ოლიმპიური თამაშების დღეებში ათენი დახურული ქალაქი არ იქნება.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ ათენის ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პოლიციელთა თუ წესრიგის სხვა დამცველთა სიმრავლე არანაირად არ იმოქმედებს ოლიმპიადის სტუმართა და ტურისტთა გუნება-განწყობილებაზე. ვეცდებით ყველაფერი ისე მოვაწყოთ, რომ ჩვენი უშიშროების თანამშრომლების არსებობა შეუმჩნეველი იყოს ან უარეს შემთხვევაში მათი გამოცნობა მხოლოდ ვარაუდებით გახდეს შესაძლებელი. მათი ამოცანა ხომ ათენის სტუმართა უხიფათობის „შეუმჩნეველი“ დაცვაა“ — თქვა ბაკოიანისმა.

ამ „შეუმჩნეველი“ დაცვისთვის საბერძნეთს უშიშროებისა და ტერორის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად დაეხმარება შვიდი ქვეყანა ავსტრალია, აშშ, გარმანია, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, ესპანეთი და საფრანგეთი.



**ბერძნები ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებისთვის 700 მილიონის დახარჯვას გეგმავენ**

# ჩინელებმა მედლები წინასწარ დაირიგეს

**ჩინეთის** სპორტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კინ სიაომ განაცხადა, რომ ამ ქვეყნის ათლეტები ათენის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს განიხილავენ, როგორც 2008 წელს პეკინში გასამართი ოლიმპიადის გენერალურ რეპეტიციას. ჩინელები თავიან დედაქალაქში გასამართ ოლიმპიურ თამაშებში დიდი უპირატესობით აპირებენ გამარჯვებას და საათენოდაც საკმაოდ ამბიციები გააჩნიათ.

„ვგეგმავთ, ათენში მოვიპოვოთ ოქროს მედლები ჩვენთვის ტრა-დიციულ სახეობებში, მათ შორის მაგიდის ჩოგბურთში, ბადმინტონში, წყალში ხტომაში, ძალოსნობაში, ტყვიის სროლაში, ტანვარჯიშსა და ქალთა ძიუდოში ამას გარდა, ვიმედოვნებთ ტაიკვანდოში და ფარიკაობაში კარგად გამოსვლასაც, რაშიც ჩვენი სპორტსმენები ბოლო წლებში საკმაოდ დაწინაურდნენ და ახლაც აღმავლობის გზაზე არიან. ეს ითქმის აგრეთვე ქალთა ჭიდაობაზე, ველოსპორტზე, მშვილდოსნობაზე და ცურვაზე.

ერთი სიტყვით, ვიმედოვნებთ, რომ ათენში ამერიკელების შემდეგ მეორე ადგილს დავიკავებთ“ — რიხით აცხადებს ტიან სიაო.

შეგახსენებთ, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ჩინელებმა მოიპოვეს 28 ოქროს მედალი, რომელთაგან 5-5 წყალში ხტომასა და ძალოსნობაში დაიმსახურეს, ხოლო 4-4 ჩოგბურთსა და ბადმინტონში.

**ავთანდილ ტყვიტელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი და მგრგვინავი სუპერბოული





ეს რომ სიგიჟეა, გვსმენია, მაგრამ იქ არა ვყოფილვართ. ეს რომ დიდი სიყვარულია, გვჯერა, ოღონდაც მაინც მოყოლით ვიცით. ეს რომ ამერიკის ყველაზე, ყველაზე და ყველაზე იმნაირი რამ არის, წყალი არ გაუვა. ეს ხომ სუპერბოულია — ამერიკელთაგან მოგონილი ბევრისთვის უცხო, მაგრამ საოცარი თამაშის დიდი ფინალი. ამ თამაშს ამერიკელები ფეხბურთს უწოდებენ და ის ისევეა ფეხბურთი, როგორც ხელბურთი, რაგბი, ჰოკეი და სხვა რომ ათასი ერთად აღებული. ის ნამდვილი თამაშია, დიდი თამაშია და ამ კვირასაც ისტორიაში ოცდამეთვრამეტედ გაირინდა მთელი ამერიკა, რათა XXXVIII სუპერბოულისთვის ეცქირა. თამაშის ადგილი — ჰიუსტონი. გუნდები „ნიუ ინგლენდ პეტრიოტსი“ და „კაროლინა პანტერსი“. ნამდვილი თრილერი, დაუვიწყარი მეოთხე მეოთხედი, როცა პანტერებმა თამაშის ჩარხი ალმა დაატრიალეს, ბოლოს კი ადამ ვინატიერის 33 იარდიდან დაკრულმა ასე თქმულმა „მინდვრის გოლმა“ ამ თამაშის ყოველი გარბენი, პასი და თაჩდაუნი გააფერმკრთალა და ახალინგლისელ „პატრიოტებს“ სამადსამი ქულით მოაგებინა. აქვე ითქვა, ბოლო სამ წელიწადში პატრიოტებმა მეორედ მოიგეს სუპერბოული. ავარიები ჰიუსტონში, ლამაზმანთაგან ტიტლიკანად ნათამაშევი ეს ფეხბურთი შესვენებაზე, ჯანეტ ჯექსონის მგზნებარე შოუ ჯასტინ ტიმბერლეიკთან ერთად, ხალხი, ამერიკა, გუგუნი და ჩაფხუტების ყრუ ხმა, ღრიალით გაფხრეწილი სიჩუმე, ბუშტები, შუქის თამაში და ნამდვილი ბრძოლა, ყოფილი პრეზიდენტები, ასტრონავტები, მოედანზე გადმომხტარი შიშველი კაცები: აი, ეს იყო კვირის სუპერბოული, რომელიც მართლაც განსაკუთრებული გამოვიდა, თამაშითაც და სანახაობითაც. ხოლო მოგებულთა მწვრთნელმა თქვა: „გულის შეტევები იყო, მაგრამ მთავარმა გადასძალა“. იქნებოდა, მაშ რა? სუპერბოული











# ბატონმა ულვაშზე დაიხედა

## B.A.R

**ბრიტიშ ემერიკენ რეისინგ (B.A.R)**
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1999 წლიდან
83 რბოლა; 70 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი — V ადგილი (2000, 2003)
აღმასრულებელი დირექტორი **დევიდ რიჩარდსი** (დიდი ბრიტანეთი)
ტექნიკური დირექტორი **ჯეფ უილისი** (დიდი ბრიტანეთი)
მთავარი ინჟინერი **სტივ ფარელი** (ავსტრალია)
ბოლიდი **B.A.R 006**
ძრავა **„ჰონდა RA004E“**
საბურავები **„მიშლენ პილოტი“**
ტესტ პილოტი **ენტონი დევიდსონი** (დიდი ბრიტანეთი, 24 წლის)



**ჯენსონ ბატონი**

**დიდი ბრიტანეთი**
დაიბადა 1980 წლის 19 იანვარს ფრომში
ცხოვრობს მონტე კარლოსა და ბისტერში
უცოლო
სიმაღლე 182 სმ; წონა 74 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2000)
66 რბოლა; 45 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მეშვიდე ადგილი (2002)
2003 წელს დაიკავა მეცხრე ადგილი (17 ქულა)
ასპარეზობდა „უილიამსში“ (2000), „ბენეტონში“ (2001), „რენოში“ (2002)
B.A.R-შია 2003 წლიდან



**ტაკუმა სატო**

**იაპონია**
დაიბადა 1977 წლის 28 იანვარს ტოკიოში
ცხოვრობს მერლოუში (დიდი ბრიტანეთი)
უცოლო
სიმაღლე 163 სმ; წონა 60 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2002)
18 რბოლა; 5 ქულა
2002 წელს დაიკავა XV ადგილი (2 ქულა)
2002 წელს ასპარეზობდა „ჯორდანში“
2003 წელს იყო B.A.R-ის ტესტ-პილოტი
B.A.R-შია 2004 წლიდან

**შარშანდელი** სეზონი BAR-ის ხუთწლიან ისტორიაში საუკეთესო შედეგის გამეორების მიუხედავად, სკანდალით დასრულდა.

ჯერ იყო და ზედ ჩემპიონატის ფინიშზე გაცხადდა, რომ ბარელებმა მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი ჟაკ ვილნევი გუნდიდან გაუშვეს, მერე კი იაპონურ მესაბურავე „ბრიჯსტოუნთან“ გაწყვიტეს თანამშრომლობა და ფრანგულ „მიშლენს“ შეეკვრნენ.

კანადელი პილოტის მოხსნის მიზეზი, ცხადია, მისი უსახური შედეგია უზარმაზარი ჯამაგირის მიუხედავად. ბრიტანულ-ამერიკული საჯინიბო ვილნევს ყოველთვიურად მილიონნახევარ დოლარს უხდიდა, მან კი ხუთ სეზონში ერთხელაც ვერ შეძლო პოდიუმზე შედგომა, ხოლო „მიღწევა“ 2000 წლის ჩემპიონატში დაკავებული მეშვიდე ადგილია. ექსჩემპიონის ნაცვლად მიიწვიეს სულ ერთ სეზონში ნარბოლი 27 წლის ტაკუმა სატო, პირველ რიგში იმიტომ რომ იაპონელია, ანუ ბარ-ის ძრავებით მომმარაგებელთა თანამემამულე, თანაც მისი ხელფასი ვილნევისაზე რამდენჯერმე ნაკლებია. ამგვარად დაზოგილ თანხას კი გუნდის ხელმძღვანელობა ტექნიკურ წინსვლისთვის გამოიყენებს.

მართალია, ვილნევი ძალიან გაანაწყენა ამ ამბავმა და აცხადებს, ფორმულისკენ გამოხედვა აღარ მინდაო, მაგრამ მის მილიონობით ფანებს ეიმედებათ, რომ ჟაკს გული მოუბრუნდება და გაისად კვლავ იხილავენ „სამეფო რბოლების“ ჩემპიონატში.

„ბრიჯსტოუნთან“ დაშორება უმტკივნეულოდ მოხდა. ბარმენებმა იაპონელ მებორბლეებს თხოვნით მიმართეს, დაერღვიათ კონტრაქტის ვადა, რომელიც 2004 წლის ბოლოს იწურებოდა. „ბრიჯებმა“ თავიდან უკმაყოფილება კი გამოხატეს, მაგრამ მალე უპრობლემოდ გაუშვეს გუნდი თავის ბანაკიდან. ცნობისთვის, ბარ-ი ფრანგული სუპერკონცერნის მეექვსე კლიენტი გახდა, „ბრიჯსტოუნს“ კი ოთხი საჯინიბოლა შერჩა.

ახალი ბოლიდის პრეზენტაცია ბარსელონას ავტოდრომზე მოეწყო. BAR006-ის შემქმნელია ტექნიკური დირექტორი ჯეფ უილისი, რომელსაც თავისი პირმშოსი ძალიან ეიმედება და წინამორბედთან შედარებით დიდ წინგადადგმულ ნაბიჯად თვლის: „ჩვენ ამ მანქანაზე ათი თვე ვიმუშავეთ და შარშანდელზე სამჯერ მეტი ტესტების ჩატარებაც მოვასწარით. მთავარი სიახლეა „ჰონდას“ ინჟინრების მიერ დამუშავებული სიჩქარეთა კოლოფი, რამაც საგრძნობლად შეამცირა მთელი ძალოვანი აგრეგატის წონა. ამასთან, უფრო დაიხვეწა აეროდინამიკაც.“

ხსენებული გამოცდებისას „ჰონდას“ ძრავა მაინცდამაინც საიმედო ვერ იყო, ხშირად ფუჭდებოდა. თუმც იაპონელი სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ერთი თვის შემდეგ ავსტრალიაში პირველი რბოლისას ბევრად სტაბილური მოტორი ექნებათ.

დამდეგ სეზონში ბარ-ს ამბიციური მიზნები აქვს. ჯენსონ ბატონი: „ჩვენი ახალი მანქანა შესანიშნავია, ძალიან სწრაფია და სულაც არ ვაჭარბებ გუნდის შესაძლებლობებს, როდესაც ვაცხადებ, რომ 2004 წელი უეჭველად მოგვიტანს რამდენიმე პოდიუმს. შესაძლოა, მე რბოლის მოგებაც კი შევძლო.“

თავისი სიტყვებისთვის წონის შესაძენად 24 წლის მძღოლმა აღთქმაც კი დადო, როგორც კი პოდიუმზე შევდგები, ულვაშს მოვუშვებო.

**გია ახალაძე**





## რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ჩიკაგოს“ მეკარემ სტივ რასმურმა ეს შაიბა კი დაიჭირა, მაგრამ სხვა ექვსი გაუშვა

REUTERS

# თუ მოგვშივდა, ქორსაც შევჭამთ...

— 1 თებერვალი —

**ბოსტონი 4:1 პიტსბურგი**
*0:1 0:0 4:0*
0:1 მოროზოვი (16), 1:1 მიურეი (47), 2:1 მიურეი (55), 3:1 მიურეი (59), 4:1 როლსტონი (60)

ზედიზედ მესამე მატჩია, გლენ მიურეი „ბოსტონის“ გამარჯვებების მთავარი სულისჩამდგმელია, მაგრამ ამჯერად განსაკუთრებული წვლილი შეიტანა — 13 წუთის განმავლობაში სამჯერ გაიტანა და ამით საბოლოოდ გატეხა ურჩი „პიტსბურგი“. მიურეის ბოლო 6 მატჩში 8 გოლი მოუგროვდა.

„ის ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლეა. უბრალოდ, აქამდე ბედი არ სწყალობდა, მაგრამ ბოლო ხანებში ბევრი იშრომა და დაუფასდა — თქვა მატჩის შემდეგ „ბოსტონის“ თავკაცმა მაიკ ოსალივანმა.

რაც შეეხება „პიტსბურგს“, ამ დღეებში გუნდებმა მარკ-ანდრე ფლერის პრობლემა საბოლოოდ გადაჭრა, გუნდის მამებმა გადაწყვიტეს, 19 წლის მეკარე ფარმკლუბში გაგზავნონ, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის 3 მილიონი დოლარის გადახდა არ დასჭირებათ, რაც დამშეული „პინგვინებისათვის“ პირდაპირ მისწრებაა.

**მონრეალი 6:4 ჩიკაგო**
*2:0 3:1 1:3*
1:0 ბრისბუა (1), 2:0 სურეი (20), 2:1 სალივანი (21), 3:1 ბულისი (25), 4:1 ბეგინი (31), 5:1 რიბეირო (40), 5:2 კოლდერი (43), 5:3 ჟამნოვი (48), 5:4 სალივანი (56), 6:4 სუნდსტრიომი (60)

„ჩიკაგოს“ ვიზიტი სწორედ რომ დროული იყო „მონრეალისთვის“, რომელსაც დაკარგული შედეგიანობის დაბრუნება ესაჭიროებოდა. მართალია, წინა შეხვედრაში „ქორებმა“ შეწყვიტეს სამარცხვინო სერია, რომელიც სტუმრად ჩატარებულ 19 მატჩს ითვლიდა, მაგრამ კვირას კვლავ წააგეს თავიანთი თავკაცის ბრაიან სუტენის ლიგაში მე-1000 მატჩი.

**კალგარი 6:4 ანაჰაიმი**
*3:2 2:1 1:1*
1:0 კონროი (3), 1:1 სიკორა (6), 2:1 ჟელინა (11), 3:1 კლარკი (12), 3:2 ვიშნევსკი (17), 4:2 კლარკი (26), 5:2 დონოვანი (29), 5:3 პროსპალი (37), 6:3 მაკამონდი (45), 6:4 ფიოდოროვი (46)

სერგეი ფიოდოროვმა 4 ქულა (გოლი და 3 პასი) დააგროვა, მაგრამ „ანაჰაიმს“ მაინც ვერ უშველა. მასპინძლები გაცხარებით იბრძოდნენ, წინა მატჩში „ჩიკაგომ“ სწორედ მათთან შეწყვიტა სამარცხვინო სერია და ავტორიტეტი ხომ უნდა აღედგინათ.

| აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 53 | 29 | 8 | 3 | 13 | 146:123 | 69 |
| ფილადელფია | 53 | 26 | 11 | 5 | 11 | 147:119 | 68 |
| ტამპა | 51 | 26 | 6 | 3 | 16 | 139:114 | 61 |
| ოტავა | 58 | 28 | 7 | 3 | 14 | 175:113 | 66 |
| ნიუ ჯერსი | 51 | 27 | 10 | 1 | 13 | 121:95 | 65 |
| ბოსტონი | 54 | 25 | 11 | 4 | 14 | 131:122 | 65 |
| მონრეალი | 54 | 26 | 6 | 2 | 20 | 133:119 | 60 |
| აილენდერსი | 52 | 25 | 5 | 2 | 20 | 147:129 | 57 |
| ბუფალო | 54 | 23 | 5 | 1 | 25 | 130:135 | 52 |
| ატლანტა | 54 | 21 | 6 | 2 | 25 | 145:160 | 50 |
| რეინჯერსი | 53 | 19 | 7 | 4 | 23 | 136:150 | 49 |
| ფლორიდა | 53 | 17 | 11 | 3 | 22 | 117:143 | 48 |
| კაროლინა | 53 | 17 | 10 | 2 | 24 | 102:132 | 46 |
| ვაშინგტონი | 53 | 16 | 5 | 2 | 30 | 126:167 | 39 |
| პიტსბურგი | 54 | 11 | 5 | 3 | 35 | 106:203 | 30 |

| დასავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 52 | 29 | 9 | 3 | 11 | 162:119 | 70 |
| დეტროიტი | 54 | 29 | 8 | 2 | 15 | 174:128 | 68 |
| სან ხოსე | 53 | 24 | 11 | 5 | 13 | 130:111 | 64 |
| ვანკუვერი | 53 | 30 | 7 | 2 | 14 | 157:118 | 69 |
| დალასი | 55 | 26 | 9 | 0 | 20 | 117:122 | 61 |
| ნეშვილი | 52 | 26 | 6 | 2 | 18 | 127:133 | 60 |
| კალგარი | 52 | 26 | 4 | 3 | 19 | 127:117 | 59 |
| ლოს ანჯელესი | 53 | 21 | 12 | 5 | 15 | 141:135 | 59 |
| სენტ ლუისი | 51 | 25 | 7 | 1 | 18 | 124:124 | 58 |
| ფინიქსი | 51 | 18 | 13 | 2 | 18 | 129:135 | 51 |
| მინესოტა | 54 | 17 | 15 | 2 | 20 | 115:122 | 51 |
| ედმონტონი | 53 | 20 | 8 | 1 | 24 | 134:140 | 49 |
| ანაჰაიმი | 53 | 16 | 8 | 6 | 23 | 115:144 | 46 |
| კოლუმბუსი | 52 | 15 | 7 | 3 | 27 | 109:149 | 40 |
| ჩიკაგო | 54 | 13 | 7 | 5 | 29 | 121:162 | 38 |

*პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან*

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია სამძიმარს უცხადებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსჟა-ს აღმასკომის წევრს ემზარ ზენაიშვილს დედის

**ქეთევან ფოფხაძე-ზენაიშვილის**

გარდაცვალების გამო

# კონ-გო!

ფეხბურთი ასეთებსაც კარგად ესმით. კონგოელ შამანს, ვინც ტუნისის ქალაქ ბიზერტეში ჩასულა თავისი გუნდის საქომაგოდ, ამჯერად არ გაუმართლა: რუანდელებმა 1:0 მოიგეს.



REUTERS ბიზერტიდან



REUTERS მოსკოვიდან

# რუსთა შეჯიბრი

მოსკოვს გარეთ იახრომაში ძაღლთხილამურობის ათკილომეტრიანი შეჯიბრი გაიმართა. მონაწილეები ამინდმა ოდნავ დააბნია: შაბათს ორი გრადუსი სითბო იყო, კვირას ათი გრადუსი ყინვა.

# შგო და დონი

ვენესუელაში საკრივო საქმეებზე ჩასულა კრივის გაქნილი მეუფე პრომოუტერი დონ კინგი, როგორ იქნებოდა, რომ ერთი ხმაურიანად განთქმული კაცი მეორე ასეთს არ შეხვედროდა. კარაკასიდან 60-იოდ კილომეტრზე ვენესუელის ბობოქარი პრეზიდენტი უგო ჩავესი თავისი განთქმული რადიოგადაცემის „ალო, პრეზიდენტის" პირდაპირ ეთერში შეეგება კინგს. თვითონ ჩავესი ათი წლის წინათ ციხეში იჯდა აჯანყებისთვის, ამნისტიის მერე პრეზიდენტი გახდა, მერე ჩამოაგდეს, მაგრამ სამ დღეში უკან დაბრუნდა, უყვარს სპორტი, ხალხი და ერთ-ერთ განთქმულ პოპულისტადაა ცნობილი.



REUTERS კარაკასიდან

# თოვლის მეფე

ბავარიულ ზამთრის კურორტ გარმიშ-პარტენკირხენში სწორედ თხილამურობის მსოფლიოს თასის ეტაპის კვალად შეკრებილან სამთო ველორბოლების ტრფიალნი მთელი ევროპიდან. 15 საუკეთესო ზამთრის ველომხედარი სამ ეტაპად: იტალიურ ბორმიოში, ნორვეგიულ კვიტფიელში და აქ, ბავარიაში გაითამაშებს ხოლმე თოვლის მეფის ტიტულს. წლეულს ეს წოდება ფრანგმა სედრიკ გარსიამ (მარჯვნივ) მიიღო, ვინაც ბავარიული რეისი 36, 13 წამში დაფარა, უმაღლეს სიჩქარედ კი 101 კილომეტრი საათში ჰქონდა.



REUTERS გარმიშ-პარტენკირხენიდან



REUTERS პერტიდან

# გამოიჭრა

ავსტრალია ამარცხებდა ინდოეთს, მაგრამ მაგან ოზის გულმა არ მოუთმინა და მაინც გამოიჭრა მოედანზე. პერტში ავსტრალიელი და ინდი მოკრიკეტეები პაექრობდნენ ერთდღიან თამაშში.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge